საქართველოს
სახალხო დამცველი

სპეციალური ანგარიში

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ

2018

www.ombudsman.ge

დოკუმენტი შემუშავებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის
აღმოფხვრის შესახებ კანონის“ მე-7 მუხლის შესაბამისად

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს
სახალხო დამცველი

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და არ ნიშნავს რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი 5

1. თანასწორობის მდგომარეობა ქვეყანაში 7

1.1. ქალთა თანასწორუფლებიანობა 7

სექსუალური შევიწროება 7

ორსულობა 9

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალები 10

1.2. შეზღუდული შესაძლებლობა 11

ფიზიკური მისაწვდომობა 11

უსინათლო პირთა პრობლემები 12

1.3. არასრულწლოვანთა მიმართ დისკრიმინაცია 12

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები 13

ბავშვის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა 14

1.4. ეროვნება 14

1.5. ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა თანასწორუფლებიანობა 15

1.6. დისკრიმინაცია შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში 17

შევიწროება 17

განსხვავებული და პოლიტიკური მოსაზრება 18

1.7. დისკრიმინაცია სოციალური სარგებლის მიღებისას 18

1.8. დისკრიმინაციის წახალისება 20

პოლიტიკური თანამდებობის პირები 21

მოსამართლე 23

მედია 23

აკადემიური სფერო 23

კერძო ბიზნეს სუბიექტები 24

საკანონმდებლო აქტები 24

1.9. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების ხარვეზები 25

2. დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის ხარვეზები 28

3. საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობა 29

3.1. საქმისწარმოება 29

3.1.1. ზეპირი მოსმენა და წარმომადგენლობა 32

3.1.2. გადაწყვეტილებები 33

3.1.3. აღსრულების მექანიზმი 34

3.2. ურთიერთობა საერთაშორისო ინსტიტუტებთან 35

3.3. თანასწორობის უფლების შესახებ ინფორმაციის გავრცელება 36

დასკვნა 38

დანართი 1: რეკომენდაციები და ზოგადი წინადადებები საჯარო პირების მიმართ 39

დანართი 2: რეკომენდაციები და ზოგადი წინადადებები კერძო პირების მიმართ 48

შესავალი

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომში ანტიდისკრიმინაციული კანონი) საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს მიიღო. კანონით საქართველოს სახალხო დამცველი, საერთო სასამართლოებთან ერთად, თანასწორობის უფლების დაცვის სამართლებრივ მექანიზმად განისაზღვრა. იმავე წლის ნოემბერში, სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტების განხილვის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატში თანასწორობის დეპარტამენტი შეიქმნა.

კანონის მიღებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყანაში თანასწორობის საკითხებზე დისკუსიის დაწყებას და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. ამასთან, უფლების დაცვა კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი მექანიზმების - სასამართლოს თუ საქართველოს სახალხო დამცველის მეშვეობით დისკრიმინაციის არაერთმა მსხვერპლმა შეძლო. აღსანიშნავია, რომ კანონი მოქმედებს როგორც საჯარო უწყებებზე, ასევე კერძო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე და დისკრიმინაციას კანონით რეგულირებულ ნებისმიერ სფეროში კრძალავს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კანონში გაწერილი დისკრიმინაციისგან დაცული საფუძვლების ჩამონათვალი ამომწურავი არ არის, რაც სავარაუდო დისკრიმინაციის მეტ შემთხვევაზე მსჯელობას ხდის შესაძლებელს.

საქართველოს სახალხო დამცველი, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად,[1] წელიწადში ერთხელ შეიმუშავებს და აქვეყნებს სპეციალურ ანგარიშს ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილების და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ. წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს რიგით მე-4 დოკუმენტს. დადებით ცვლილებებთან ერთად, სამწუხაროდ, საქართველოში თანასწორობის უფლების დაცვა კვლავ არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. ამ ეტაპზე, არ არის განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელსაც დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის დახვეწის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველი 2015 წლიდან ითხოვს. სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან არ ისმის თანასწორობის მხარდამჭერი განცხადებები; ამასთან, როგორც თანასწორობის შესახებ სახალხო დამცველის წინა ანგარიშშიც[2] იყო აღნიშნული, სასამართლოები კვლავ არ აწარმოებენ დისკრიმინაციის შესახებ საქმეების შესახებ სტატისტიკას.

ყველაზე დაუცველ ჯგუფებად, წინა წლების მსგავსად, რჩებიან ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, და ლგბტ+ თემის წარმომადგენლები. თანასწორობის მდგომარეობის შესახებ წინა ანგარიშში საუბარი იყო საქართველო-თურქეთის საზღვრის კვეთისას მუსლიმების მიმართ შექმნილი დაბრკოლებების შესახებ, როდესაც მათ რელიგიასთან დაკავშირებულ კითხვებს უსვამდნენ

1 „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.

2 დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2017, გვ. 16.

და რელიგიური ხასიათის ლიტერატურის საზღვარზე დატოვებას სთხოვდნენ.[3] მსგავსი მომართვა სახალხო დამცველს მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს აღქმითი დისკრიმინაციის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, რაც გულისხმობს, რომ მსხვერპლს განსხვავებულად ეპყრობიან, რადგან მას დისკრიმინაციისგან დაცულ რომელიმე ნიშანთან აიგივებენ, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა პირი ამ ნიშნის მატარებელი არ იყოს.

კვლავ პრობლემურია სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება; ასევე, საჯარო პირების დისკრიმინაციული გამონათქვამები, რომელიც დაუცველი ჯგუფების უფლებების შელახვას ახალისებს. წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, სავარაუდო დისკრიმინაცია ყველაზე ხშირდ შრომით ურთიერთობებში ვლინდება. წლევანდელ ანგარიშში ასევე განხილულია ბავშვების მიმართ უთანასწორო მოპყრობის საკითხი და დისკრიმინაციის შემთხვევები სახელმწიფოს მიერ დაწესებული სოციალური ბენეფიტებით სარგებლობისას.

წინამდებარე ანგარიში **მოიცავს პერიოდს 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2018 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით. მასში** ასახულია საქართველოში სხვადასხვა დაუცველი ჯგუფების თანასწორობის უფლების მდგომარეობა, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის მიერ თანასწორობის უფლების დაცვის მიზნით გაწეული სამუშაო და სახალხო დამცველის გადაწყვეტილებების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

ნებისმიერ პირს ან პირთა ჯგუფს აქვს შესაძლებლობა ინდივიდუალური თუ კოლექტიური განცხადებით, დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნით მიმართოს სახალხო დამცველს. სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია სპეციალური ფორმა, რომელიც განმცხადებელს ეხმარება სრულად და ამომწურავად ჩამოაყალიბოს თავისი მოთხოვნა, მიუთითოს ფაქტები და, სურვილის შემთხვევაში, საქმის განხილვაში ჩართოს წარმომადგენელი დისკრიმინაციასთან ბრძოლის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაცია. ამასთან, არ არის სავალდებულო განცხადების შემოტანა ზემოხსნებული სააპლიკაციო ფორმის დაცვით - განმცხადებელს საშუალება აქვს ელექტრონული თუ ტრადიციული ფოსტის, სოციალური ქსელისა და სატელეფონო ცხელი ხაზის მეშვეობით შემოიტანოს განცხადება ნებისმიერი, მათ შორის, ხელით ნაწერი ფორმით. ამასთან, შეუძლია პირადად მოვიდეს სახალხო დამცველის ოფისში და ადგილზე დაწეროს განცხადება.

სახალხო დამცველის აპარატში დისკრიმინაციის დადგენის საკითხზე საქმისწარმოებისთვის დადგენილია 6 თვიანი ვადა, რომელიც ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა გაიზარდოს არაუმეტეს 3 თვისა.

3 დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2017, გვ. 24-25.

1. თანასწორობის მდგომარეობა ქვეყანაში

წინამდებარე თავში, სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის წარმოებაში არსებული განცხადებების, მიღებული გადაწყვეტილებების და საერთო სასამართლოებში წარდგენილი სასამართლო მეგობრის მოსაზრებების ფონზე, განხილულია ქვეყანაში სხვადასხვა დაუცველი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის მდგომარეობა. ასევე წარმოდგენილია კანონით რეგულირებული სფეროები, რომელშიც დისკრიმინაციის შემთხვევებს ყველაზე ხშირად აქვს ადგილი.

1.1. ქალთა თანასწორუფლებიანობა

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში გაიზარდა სექსუალური შევიწროების ფაქტების შესახებ მომართვიანობა. კვლავ პრობლემად რჩება ქალების შრომითი უფლებების შეზღუდვა ორსულობის გამო. ერთ-ერთ დაუცველ ჯგუფად გამოვლინდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალები, რამდენადაც, მათ საჭიროებებზე მორგებული ჯანდაცვის პროგრამა არ არსებობს.

სექსუალური შევიწროება

სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ყველაზე ხშირად ქალების მიმართ ვლინდება და *წარმოადგენს პირის მიმართ არასასურველ სექსუალური ხასიათის სიტყვიერ, არასიტყვიერ ან ფიზიკურ ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.*[4]

როგორც წესი, დისკრიმინაციის ამ ფორმას ახასიათებს ფაქტების გამოვლენის სირთულე, რაც განპირობებულია როგორც საზოგადოებაში არსებული არასწორი და არასაკმარისი ინფორმაციით, ასევე საკანონმდებლო დონეზე ამ საკითხის არასათანადო მოწესრიგებით.[5] სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული განცხადებები, ძირითადად, პროფესიული საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტებს ეხება.

---

4 ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის და პრევენციის შესახებ ევროსაბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია), მუხლი 40; ევროკავშირის გადასინჯული დირექტივა 2006/54/EC დასაქმების და კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში კაცებსა და ქალებს შორის თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის პრინციპის იმპლემენტაციის შესახებ, მუხლი 2 (1) (დ).

5 სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, გვ.13, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4825.pdf ; სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, გვ. 17-18, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3966.pdf; ასევე, სახალხო დამცველის 2017 წლის 28 მარტის წინადადება საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიმართ, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/winadadebebi/saqartvelos-saxalxo-damcvelis-winadadeba-seqsualur-sheviwroebastan-dakavshirebit.page

სახალხო დამცველმა დაადგინა სექსუალური შევიწროება, როდესაც სუპერმარკეტების ქსელ „ფრესკოში“ ქალების გამოსაცვლელ ოთახებში მიმდინარეობდა ვიდეო თვალთვალი, რაზეც კომპანიის მამაკაც თანამშრომლებსაც მიუწვდებოდათ ხელი. კომპანიაში არსებული პრაქტიკა დასაქმებულ ქალებს შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ გარემოს უქმნიდა, გაუმართლებლად ახდენდა მათი პირადი სივრცის კონტროლს და უხეშად ერეოდა ინტიმურ სფეროში.[6]

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, სახალხო დამცველისადმი მომართვიანობა გაიზარდა, მას შემდეგ, რაც მედიის საშუალებით ერთ-ერთი საჯარო პირის მიერ ჩადენილი სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა. ამ პროცესის შედეგად, საზოგადოების ნაწილმა აქტიურად დაიწყო მსჯელობა სექსუალური შევიწროების ფენომენის და მისი რეგულირების აუცილებლობაზე.

მომართვიანობის გაზრდილმა ტენდენციამ და სხვადასხვა საქმეების შეფასებამ გამოკვეთა ის ფსიქო-სოციალური ფაქტორები, რომელიც სექსუალური შევიწროების ფაქტის შესწავლაზე და თავად მსხვერპლზე ზეგავლენას ახდენს. სექსუალური შევიწროების დადგენისთვის ერთ-ერთი გადამწყვეტი კომპონენტი მსხვერპლის მიერ მოვლენის აღქმა და მისი არასასურველობაა, რაც ყველა ადამიანს თავისებური აქვს. ეს შესაძლოა დამოკიდებული იყოს როგორც იმ კულტურაზე, რომელშიც ადამიანი გაიზარდა ან ცხოვრობს, ასევე მის სქესზე. არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იმავე სქესის მქონე ადამიანები სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევას განსხვავებული სიმძაფრით აღიქვამენ. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ სექსუალურ შევიწროებად ჩაითვლება არამხოლოდ ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს, არამედ ასევე იწვევს (განზრახვის გარეშე) ადამიანისთვის არაკომფორტული გარემოს შექმნას.

სახალხო დამცველის პრაქტიკამ ცხადყო, რომ ადამიანებს, რომლებიც თავს სექსუალური შევიწროების მსხვერპლად მიიჩნევენ, მეტ-ნაკლებად, მსგავსი დამოკიდებულებები და განწყობები აქვთ. ხშირია შემთხვევები, როდესაც მსხვერპლი თავს იდანაშაულებს არასასურველი ქმედების გამოწვევაში და სირცხვილს განიცდის ან არ არის დარწმუნებული, რომ მომხდარი ამბავი სწორად აღიქვა და გაიაზრა. ასევე, მსხვერპლისთვის ჩვეულ ქმედებას წარმოადგენს მის მიმართ განხორციელებული სექსუალური შევიწროების დამადასტურებელი მტკიცებულებების განადგურება, როგორც მისთვის არასასურველი, „სამარცხვინო“ შემთხვევის თავიდან მოშორების გზა.

თითქმის არ გვხდება შემთხვევები, როდესაც სავარაუდო სექსუალური შევიწროების მსხვერპლები დაუყოვნებლივ მიმართავენ უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს - სასამართლოს ან სახალხო დამცველს. ფაქტზე რეაგირების წახალისებისთვის მსხვერპლს ესაჭიროება სხვა ქალების მსგავსი ისტორიების მოსმენა, კონსულტაცია საკითხის მცოდნე პირებთან, საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან იმის აღიარება, რომ სექსუალური შევიწროე-

6 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 4 დეკემბრის რეკომენდაცია შპს „ფრესკოს“ მიმართ, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4976.pdf

ბა პრობლემას წარმოადგენს. სამართლებრივი საშუალებების გამოყენებამდე მსხვერპლი ასევე ითვალისწინებს შესაძლო რეაქციას მისი გარშემომყოფების - ოჯახის, მეგობრების თუ თანამშრომლების მხრიდან, რომელთათვისაც მსგავსი ფაქტის გაგება შესაძლოა სავარაუდო სექსუალური შევიწროების ჩამდენის მიმართ ძალადობის ან სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების მაპროვოცირებელი გახდეს.

მტკიცებულებათა ნაკლებობა, ასევე, არასრულყოფილი საკანონმდებლო ჩარჩო განსაკუთრებულად ართულებს საკითხის შეფასებას, თუმცა სახალხო დამცველი ითვალისწინებს სექსუალური შევიწროების ფენომენის სპეციფიკურობას და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, რეაგირების მიღმა არ ტოვებს სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტებს. საქართველოში სექსუალური შევიწროების შესახებ პრაქტიკის განვითარებისა და სტანდარტების დადგენის მხრივ განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ ქალებს, რომლებიც, საკანონმდებლო თუ სოციალური ბარიერების მიუხედავად, სამართლებრივი საშუალებების გამოყენების შესახებ იღებენ გადაწყვეტილებას.

ორსულობა

თანასწორობის შესახებ წინა ანგარიშში საუბარი იყო კერძო დამსაქმებლების მხრიდან ორსულ ქალებთან შრომითი ურთიერთობების დისკრიმინაციული საფუძვლით შეწყვეტის შესახებ.[7]

საანგარიშო პერიოდში განხილული ერთ-ერთი საქმის მიხედვით, კერძო კომპანია დასაქმებულს პერიოდულად უახლდებდა მომსახურების ხელშეკრულებას. მას შემდეგ, რაც დამსაქმებელმა დასაქმებულის ორსულობის შესახებ შეიტყო, მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობა აღარ გააგრძელა. მოპასუხე კომპანია „აი ჯი დეველოფმენთ ჯორჯია“ მიუთითებდა, რომ მასსა და დასაქმებულს შორის დადებული იყო არა შრომითი, არამედ მომსახურების ხელშეკრულება, რის გამოც განმცხადებლის სამსახურიდან დისკრიმინაციული საფუძვლით გათავისუფლებაზე მსჯელობა საფუძველს იყო მოკლებული.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებების თავიდან აცილების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა, შრომითი ხელშეკრულების ნაცვლად, გააფორმოს მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელების ვალდებულებას არ წარმოშობს, თუმცა თავისი არსით შრომითსამართლებრივი ხელშეკრულებაა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას სახალხო დამცველმა მხედველობაში მიიღო, რომ ვინაიდან განმცხადებლის მიერ შესრულებული სამუშაო კომპანიისთვის ფუნქციურად არსებითი იყო, აუცილებელი იყო მის მიერ სამუშაოს პირადად შესრულება. ამასთან, განმცხადებელი ექვემდებარებოდა კომპანიას და ის სამუშაოს გარკვეული ფუნქციური წესების მიხედვით ასრულებდა. ასევე,

7 დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2017, გვ. 14

ქონება, რომელიც აუცილებელი იყო სამუშაოს შესრულებისთვის, კომპანიის საკუთრება იყო.[8]

განსახილველ საქმეში სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ორსულ ქალს კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას მოეპყრნენ განსხვავებულად, ხოლო მოპასუხე მხარის მიერ დასახელებული არც ერთი არგუმენტი არ წარმოადგენდა განსხვავებული მოპყრობის გამამართლებელ ლეგიტიმურ მიზანს. შესაბამისად, სახალხო დამცველმა დაადგინა შრომით ურთიერთობაში სქესის (ორსულობის) ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალები

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა გენდერულ თანასწორობაზე სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ჭრილში და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის ფიზიოლოგიურ და ფსიქოემოციურ საჭიროებებზე მორგებული სახელმწიფო პროგრამის არსებობის აუცილებლობაზე იმსჯელა.[9]

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლის მიერ ორსულობის შეწყვეტის პროცედურების დაფინანსება არ იყოს დამოკიდებული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ განაჩენთან, როგორც ეს დღეს მოქმედი კანონმდებლობით არის რეგულირებული, რამდენადაც, სისხლის სამართლის საქმეზე პირის დაზარალებულად ცნობა, სავარაუდო დამნაშავის იდენტიფიცირება და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება, ხშირ შემთხვევაში, იმდენად ხანგრძლივ პერიოდს უკავშირდება, რომ შესაძლოა აბორტის გაკეთებისთვის შესაძლო ვადას გადააჭარბოს.

მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, არსებობდეს მისი დაფინანსების შესაძლებლობა, რამდენადაც, ქალის მიმართ დისკრიმინაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი სექსუალური და რეპროდუქციული როლებისა და ფუნქციების შესახებ იმ სტერეოტიპებთან და წარმოდგენებთან, რომლებიც პატრიარქალურ შეხედულებებს ეყრდნობა. ისეთ საზოგადოებებში, სადაც სექსუალური ძალადობის გამო მსხვერპლის დადანაშაულება და მისი სტიგმატიზაცია განსაკუთებით არის ფესვგადგმული, გაუპატიურების შედეგად დამდგარი ორსულობა ქმნის წინაპირობას, რომ მსხვერპლი შესაძლოა მუდმივად იყოს მის ირგვლივ არსებული სოციუმის წნეხის ქვეშ.

8 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 2 ოქტომბრის რეკომენდაცია შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ მიმართ, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4830.pdf

9 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 2 ოქტომბრის ზოგადი წინადადება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4819.pdf

1.2. შეზღუდული შესაძლებლობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანასწორუფლებიანობის მდგომარეობა არც მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესებულა. სხვადასხვა სერვისებით მისაწვდომობისას პრობლემები ექმნებათ როგორც ფიზიკური შეზღუდვის მქონე, ასევე უსინათლო პირებს. კვლავ უთანასწორო პირობებში არიან საჯარო სამსახურში დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც (გარდა მკვეთრად და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა) კერძო სექტორში დასაქმებულთაგან განსხვავებით, სოციალური პაკეტით ვერ სარგებლობენ.[10]

ფიზიკური მისაწვდომობა

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ფიზიკური მისაწვდომობის პრობლემა სანოტარო მომსახურების მიღების კონტექსტშიც გამოიკვეთა. კერძოდ, ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირებს შეღწევისას დაბრკოლება ექმნებათ. აღნიშნულის გათვალიწინებით, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ნოტარიუსთა პალატას გეოგრაფიული თვალსაზრისით განიხილოს სანოტარო ბიუროების ფიზიკური მისაწვდომობის საკითხი.[11]

სახალხო დამცველმა დისკრიმინაციულად მიიჩნია თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სპეციალური პარკირების ახალი წესი, რომელიც უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდვის მქონე პირებს აძლევს. თბილისის საკრებულოს პოზიციის თანახმად, ამგვარი მიდგომა გამართლებულია, ვინაიდან კანონმდებლობა ზოგადად განასხვავებს მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატულ შეზღუდვას, ახალი რეგულაცია კი შეღავათს იმ პირთა წრის მიმართ აწესებს, რომლებიც ფაქტობრივი მოცემულობიდან გამომდინარე, უფრო მაღალი ხარისხის მზრუნველობას საჭიროებენ. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მოდელის მიხედვით, აუცილებელია, სახელწიფოს მიერ სპეციალური საჭიროების მქონე პირების გათანაბრებისთვის დაწესებული რეგულაციები ადამიანებს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ენიჭებოდეს.[12]

---

10 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 31 მაისის რეკომენდაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიმართ, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4495.pdf

11 საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 4 აპრილის რეკომენდაცია საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიმართ, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5183.pdf

12 საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 6 აგვისტოს რეკომენდაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5393.pdf

უსინათლო პირთა პრობლემები

მხედველობასთან დაკავშირებული შეზღუდვის მქონე პირების საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დგას. ძირითად შემთხვევებში, უზრუნველყოფილი არ არის ინფორმაციისა და კომუნიკაციის მისაწვდომობა, რაც დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში სრულყოფილი მონაწილეობის გარანტი იქნებოდა.

თანასწორობის დეპარტამენტის პრაქტიკაში ორი მიმართულებით გამოვლინდა უსინათლო პირთათვის ბრაილის შრიფტის, ჟესტების ენის, გამაძლიერებელი და ალტერნატიული კომუნიკაციის ან/და სხვა ხელმისაწვდომი საშუალების გამოყენებით ინფორმაციისა და სერვისების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სირთულე. ერთ-ერთ შემთხვევაში[13] გამოიკვეთა, რომ ბრაილის შრიფტით ან სხვა ტექნიკური ალტერნატიული საშუალებით, არ არის ხელმისაწვდომი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია, რის გამოც უსინათლო პირები იძულებულები ხდებიან უარი თქვან ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენლად ყოფნაზე. მართალია, შესაძლებელია არსებობდეს ალტერნატიული საშუალებები, რომელიც სხვა პირის ჩართულობით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს თავიდან აარიდებს ნეგატიური შედეგის დადგომას, თუმცა, აღნიშნული მიდგომა არ არის გამართლებული, ვინაიდან მხედველობის პრობლემის მქონე პირებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, მაქსიმალურად ჩაერთონ მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და არ იყვნენ დამოკიდებული სხვა პირებზე, მხოლოდ იმის გამო, რომ გარკვეული სახის დოკუმენტაცია არ არის ხელმისაწვდომი ბრაილის შრიფტით ან სხვა ალტერნატიული ტექნიკური საშუალებით.

მეორე შემთხვევაში[14] სახალხო დამცველმა უსინათლო და მცირემხედველი პირების მიერ ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვის უფლების შესახებ იმსჯელა, როდესაც მათ არ აქვთ ბრაილის შრიფტით ან სხვა ალტერნატიული ფორმებით შედგენილი განცხადებით მიმართვის შესაძლებლობა.

1.3. არასრულწლოვანთა მიმართ დისკრიმინაცია

სახალხო დამცველის მიერ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განხილული საქმეების შინაარსიდან იკვეთება, რომ სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე არასრულწლოვნები დისკრიმინაციას განათლების მიღების პროცესში ექვემდებარებიან, ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა მიიღო განცხადებები, რომლებიც შეეხებოდა ადრეული სკოლამდელი განათლების უფლების რეალიზაციისას დისკრიმინაციის ფაქტებს. გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობა არასრულწლოვნების

13 საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 4 მაისის რეკომენდაცია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5238.pdf

14 საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 6 აგვისტოს რეკომენდაცია საქართველოს მთავრობის მიმართ, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5390.pdf

მიერ სასამართლოსთვის მიმართვის შესახებ 14 წლამდე ბავშვებს არ აძლევს სასამართლო წარმომადგენლების დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობას, რაც ქმნის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიღმა დარჩენის საფრთხეს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სპეციალური მასწავლებლის გამოყოფის საკითხი გამოვლინდა ერთ-ერთ პრობლემად ლ.ს.-ს საქმეში, რომელსაც ჰიპერაქტიურობის გამო ხშირად უწევდა სკოლებისა და კლასების გამოცვლა. ვინაიდან ბავშვთან არ მუშაობდა სპეციალისტი, მისი მდგომარეობა გაუარესდა. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ არ მიიღო მხედველობაში ბავშვის სპეციალური საჭიროებები, არ შეასრულა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები, რის შედეგადაც ლ.ს. გახდა ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიშნით ირიბი დისკრიმინაციას მსხვერპლი. იმის მიუხედავად, რომ სკოლაში დასაქმებული იყო სპეციალური მასწავლებელი, რომელიც პარალელურად სხვა 11 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლესთან მუშაობდა, ეს არ იყო საკმარისი ლ.ს.-ს მიმართ სათანადო სერვისის მიწოდებისთვის, ვინაიდან მისი მდგომარეობა დანარჩენი 11 მოსწავლისგან განსხვავდებოდა, სახალხო დამცველმა სამინისტროს ბავშვისთვის ინდივიდუალური მასწავლებლის გამოყოფის შესახებ რეკომენდაციით მიმართა.[15]

კიდევ ერთი შემთხვევა[16] შეეხებოდა 2 წლის ბავშვის საბავშვო ბაღიდან გარიცხვის საკითხს. ბაღის ადმინისტრაციამ მიიჩნია, რომ ბავშვი ჰიპერაქტიური იყო, რის გამოც სხვა აღსაზრდელებთან მუშაობა არ შეეძლო, მოპასუხე ასევე განმარტავდა, რომ აღსაზრდელების მშობლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ბავშვის ქცევის გამო, ვინაიდან განმცხადებლის ქცევა მათი შვილებისათვის საფრთხის შემცველი იყო. აღნიშნულ საქმეში სახალხო დამცველმა ქცევის ნიშნით აღქმით დისკრიმინაცია დაადგინა, რადგან იგი ეფუძნებოდა სამომავლო შიშს, რომ სხვა აღსაზრდელების მშობლები ბაღთან გაწყვეტდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობას, რაც ბაღისთვის ფინანსურად ხელსაყრელი არ იქნებოდა. გარდა იმისა, რომ ბაღის შიდა რეგულაციით არ იყო გაწერილი ბავშვის გარიცხვის საფუძვლები, მოპასუხემ ვერ დაასაბუთა, რომ ბავშვს ნამდვილად ახასიათებდა ჰიპერაქტიურობა და რომ მისი ქცევა სხვა აღსაზრდელებისთვის რეალურად საფრთხის შემცველი იყო.

15 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 7 დეკემბრის რეკომენდაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5007.pdf

16 საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 16 აპრილის რეკომენდაცია საბავშვო ბაღ „Wonderland Preschool-ს, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5192.pdf

ბავშვის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა ბავშვის მიერ სასამართლოსთვის მიმართვის უფლების ეფექტიანი რეალიზაციის შესახებ, რამდენადაც, საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ნეიტრალური წესი, რომელიც ყველას თანაბრად აძლევს შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, ზოგ შემთხვევაში, გამორიცხავს ბავშვების ხელმისაწვდომობას მართლმსაჯულებაზე, ვინაიდან, 14 წლამდე არასრულწლოვანი სასამართლო წარმომადგენელს ვერ ირჩევს. 14 წლიდან არასრულწლოვანს უფლება აქვს დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს, თუმცა, მოზარდის მიერ სასამართლოს უფლების სრულყოფილ რეალიზაციას არც ეს რეგულაცია უწყობს ხელს, რადგან, ასეთ შემთხვევაში, სასამართლო საპროცესო წარმომადგენლს წარმოების მიმდინარეობისას ნიშნავს, რის გამოც, ბავშვს არ აქვს შესაძლებლობა, სასამართლოს თავიდანვე იურისტის ან სხვა პირის დახმარებით მიმართოს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ 14 წლამდე ბავშვების წარმომადგენლობის საკითხის მინდობა სასამართლოსადმი, შესაძლოა გახდეს მათი დაცვის დამატებითი ბერკეტი. კერძოდ, მიზანშეწონილად მიიჩნევს, სასამართლოს მიენიჭოს უფლებამოსილება, თავად დაუნიშნოს საპროცესო წარმომადგენელი სარჩელის შეტანამდე 14-18 წლის არასრულწლოვანს, სასამართლოში მარტივი ფორმით განცხადების წარდგენის საფუძველზე.[17] ამასთან,

სასამართლოს უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, თავად დაუნიშნოს საპროცესო წარმომადგენელი 14 წლამდე არასრულწლოვანს, როდესაც მიიჩნევს, რომ ბავშვს არ ჰყავს სათანადო წარმომადგენელი.

1.4. ეროვნება

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ეროვნების ნიშნით დისკრიმინაციული პრაქტიკა საბანკო მომსახურების მიღებისას გამოვლინდა. კერძოდ, საქართველოში არსებული კომერციული ბანკები ნიგერიის, ირანისა და სირიის მოქალაქეებს სტუდენტის სამგზავრო ბარათის აღების, ბანკის ამონაწერის მიღების და საბანკო ანგარიშის გახსნისას სთხოვდნენ აშშ-ს, კანადის, ავსტრალიის ან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში რეგისტრირებული ბანკიდან სარეკომენდაციო დოკუმენტაციის წარდგენას, რომელთა წარდგენაც განმცხადებლებისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო. ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმართა, შეიმუშავოს მარტივად განჭვრეტადი რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის კომერციულ ბანკებში საბანკო მომსახურების მიღებას დისკრიმინაციის გარეშე ნებისმიერი ნიშნის მიუხედავად.[18]

17 საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 5 მარტის რეკომენდაცია საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მიმართ, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5122.pdf

18 საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 4 აპრილის ზოგადი წინადადება საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5182.pdf

ირანის რესპუბლიკაში დაბადებული 21 პირის განცხადების თანახმად, რომელთაგან 11 საქართველოს მოქალაქე ფერეიდნელი ქართველია, საქართველოში მოქმედი ბანკების უმრავლესობა უარს ეუბნება ანგარიშის გახსნაზე, ხოლო მათ ვისაც გახსნილი აქვს ანგარიში, უარს ეუბნებიან ანგარიშის დოლარში გახსნაზე და თანხის მხოლოდ ლარში გამოყენების უფლებას აძლევენ. აღსანიშნავია, რომ არც ეროვნული ბანკი უარყოფს კომერციული ბანკების ამგვარ პრაქტიკას და განმარტავს, რომ ქვეყნები, რომელთა მოქალაქეებიც არიან განმცხადებლები, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის მიზნებისათვის საყურადღებო ზონების ნუსხის დადგენის თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 9 იანვრის N1/04 ბრძანების საფუძველზე შეყვანილია საყურადღებო ზონების ნუსხაში.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ კომერციულმა ბანკებმა კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეებთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხების შეფასებისას არ უნდა გამოიყენოს ბლანკეტური მიდგომა და თითოეული მომხმარებელი ინდივიდუალურად შეაფასოს.

1.5. ლგბტ+ ადამიანების თანასწორუფლებიანობა

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია საქართველოში კვლავ ერთ-ერთ გამოწვევად რჩება. ქვეყანაში არსებული ჰომოფობიური დამოკიდებულებები ხშირად ხდება ლგბტ+ თემის წარმომადგენლების მიმართ დისკრიმინაციის საფუძველი. გასული საანგარიშო პერიოდის მსგავსად, მომსახურების სფეროში დისკრიმინაციის შემთხვევებზე ლგბტ+ თემის მხრიდან მომართვიანობა კვლავ შენარჩუნებულია. ასევე პრობლემურია თემის წარმომადგენელთა მიერ უძრავი ქონების ქირავნობასთან დაკავშირებული საკითხები.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ფიზიკურ პირს, რომელმაც ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობა 17-ს" საოფისე ფართი არ მიაქირავა მისი საქმიანობის გამო.[19] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, სამოქალაქო სამართლიდან გამომდინარე ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, მეორე მხრივ კი დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებულ ნებისმიერ სფეროში ვრცელდება. ამ მხრივ სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ მართალია, სახელშეკრულებო თავისუფლებით დაცულია პირის შესაძლებლობა, თავად გადაწყვიტოს დადოს თუ არა ხელშეკრულება, განსაზღვროს ხელშეკრულების პირობები და ხელშეკრულების მხარეც თავად აირჩიოს, თუმცა ეს პრინციპი შეიძლება შეიზღუდოს იმპერატიული ნორმების საფუძველზე, როგორიცაა, მაგალითად, დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნა.

19 საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 9 იანვრის რეკომენდაცია ს.კ-ს მიმართ, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5037.pdf

რაც შეეხება ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა მიერ საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზაციას, სახალხო დამცველმა თბილისის საქალაქო სასამართლოში სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარადგინა,[20] რომელშიც ყურადღება გაამახვილა მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, როგორც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებაზე.

საანგარიშო პერიოდში მომართვიანობა იყო ტრანსგენდერთა მიერ ჯანმრთელობის დაცვის სერვისებით სარგებლობის შესახებ. განმცხადებლები აღნიშნავდნენ, რომ ჯანდაცვის სხვა კომპონენტებისგან განსხვავებით, სახელწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდება ისეთი სამედიცინო მომსახურება, რომელიც ტრანსგენდერთა საჭიროებებზე არის მორგებული. ეს საკითხი ამ ეტაპზე შესწავლის პროცესშია.

სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის გამო ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების შემთხვევების შესახებ მომართვიანობა მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც მაღალი იყო.[21]

ლგბტ+ თემის წარმომადგენელთან კონკრეტული სავარაუდო უფლების დარღვევის ფაქტზე მსჯელობისას სახალხო დამცველი ასევე მსჯელობს თემის მიმართ ქვეყანაში არსებული ზოგადი დამოკიდებულების და განწყობების შესახებ. თემის წევრების მიმართ საზოგადოების ნეგატიურ დამოკიდებულებაზე მეტყველებს ის ინციდენტები, რომელსაც ბოლო პერიოდში ჰქონდა ადგილი. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს 2018 წლის 17 მაისს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ აქციაზე მომხდარი შემთხვევა, როდესაც ლგბტ+ თემის ერთ-ერთ წარმომადგენელს სიტყვით გამოსვლისას ფიზიკური დაზიანება მიაყენეს თავის არეში. ამასთან, მიმდინარე წლის 28 სექტემბერს ლგბტ+ პირთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის „თანასწორობის მოძრაობის" თანამშრომლებს ოფისის მეზობლად მცხოვრებმა პირმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

ასევე სიმპტომურია ქართველი ფეხბურთელის გურამ კაშიას მიერ ლგბტ+ პირთა მხარდასაჭერად გაკეთებული სამკლაურის და ამისთვის უეფასგან მიღებული ჯილდოს გამო საზოგადოების ნაწილის მხრიდან გამოხატული აგრესია როგორც თავად გურამ კაშიას, ასევე ლგბტ+ თემის მიმართ. უფრო მეტიც, 9 სექტემბერს „დინამო არენაზე" გამართულ საფეხბურთო მატჩისას, რომელშიც აღნიშნული მოვლენების შემდეგ გურამ კაშიამ პირველად მიიღო მონაწილეობა და რომელსაც გულშემატკივართა ნაწილი სწორედ მისთვის მორალური მარდაჭერის გამოცხადების მიზნით ესწრებოდა, ლგბტ+ თემის წარმომადგენლებს პოლიციის თანამშრომლებმა არ მისცეს შესაძლებლობა ლგბტ+ თემის სიმბოლური ცისარტყელის ფერებიანი დროშა გაეშალათ.

20 სასამართლო მეგობრის მოსაზრება თბილისის საქალაქო სასამართლოს სექსუალური ორიენტაციის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5067.pdf

21 დამატებითი ინფორმაცია იხ. გვ. 26

1.6. დისკრიმინაცია შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში

შრომითი და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც ყველაზე ხშირად გვხვდება სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევები. საქართველოს კანონმდებლობაში კვლავ არ არის ერთმნიშვნელოვანი აკრძალვა ვაკანსიის შესახებ განცხადებებში დისკრიმინაციული კრიტერიუმების დაუშვებლობასთან დაკავშირებით რომელთა გავრცელების მასშტაბი საკმაოდ ფართოა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ზოგადი წინადადებით 2017 წელს მიმართა, რათა საკანონმდებლო დონეზე ერთმნიშვნელოვნად გაიწეროს რეგულაციები წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში დისკრიმინაციული მოთხოვნების დაწესების დაუშვებლობის შესახებ. ამ ეტაპზე შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელებული არ არის.

გახშირდა მომართვიანობა სამუშაო ადგილზე შევიწროებასთან დაკავშირებით. წინა წლის მსგავსად, გამოვლინდა განსხვავებული და პოლიტიკური მოსაზრების გამო დისკრიმინაციის შემთხვევები.

შევიწროება

სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული განცხადებების მიხედვით, შევიწროება ძირითადად საჯარო სკოლებში გამოვლინდა. განმცხადებლები მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც მიუთითებდნენ დისკრიმინაციული საფუძვლით საგაკვეთილო საათების შემცირებაზე, სადამრიგებლო კლასის ჩამორთმევაზე, დისციპლინური ღონისძიებების დაკისრებასა და ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

სავარაუდო შევიწროების ფაქტის შეფასებისას სახალხო დამცველი მრავალ ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას. სამუშაო ადგილზე შევიწროება დადგინდა თბილისის 67-ე საჯარო სკოლის მასწავლებლების მიმართ, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ დირექტორი მათ გაკვეთილზე უთვალთვალებდა და მოსწავლეების თანდასწრებით შეურაცხყოფას აყენებდა, რაც იყო დირექტორის მიმართ მათ მიერ გამოთქმულმა კრიტიკამ გამოიწვია.

ერთ-ერთ შემთხვევაში სახალხო დამცველმა[22] შევიწროების ფაქტი დაადგინა ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილის მიმართ, რომელსაც შეზღუდული ჰქონდა საკუთარი უფლება-მოვალეობების განხორციელების შესაძლებლობა, ვინაიდან არ ჰქონდა წვდომა სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელ ინფორმაციაზე. აღნიშნულის საფუძველს კი განმცხადებლის მიერ ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის დირექტორის მიმართ გამოთქმული კრიტიკა წარმოადგენდა.

22 საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია ააიპ „ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის“ მიმართ, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5358.pdf

განსხვავებული და პოლიტიკური მოსაზრება

შრომით ურთიერთობებში განსხვავებული და სხვა პოლიტიკური მოსაზრების ნიშნით დისკრიმინაცია მიმდინარე წელსაც გამოწვევად რჩება. საანგარიშო წელს სახალხო დამცველმა უნივერსიტეტსა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებში მომხდარ დისკრიმინაციის ფაქტებზე იმსჯელა.

სახალხო დამცველმა ერთ-ერთ საქმეში განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის აღმოფხვრის რეკომენდაციით[23] მიმართა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, განმცხადებელს შრომითი ხელშეკრულება აღარ გაუგრძელეს იმ მიზეზით, რომ მონაწილეობას იღებდა 2016 წლის აპრილში უნივერსიტეტში დაწყებულ საპროტესტო გამოსვლებში, რა დროსაც უნივერსიტეტში არსებული სწავლების დაბალ დონესა და რექტორის ხელმეორედ არჩევის ლეგიტიმაციას აპროტესტებდა.

მეორე საქმეში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით[24] მიმართა თიანეთის მუნიციპალიტეტის მერს, ვინაიდან თიანეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში მომუშავე თანამშრომლები 2017 წლის ნოემბრიდან არ მომარაგებულან საშეშე მასალით, მათი განსხვავებული პოლიტიკური ძალის მხარდაჭერებად აღქმის გამო. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე, მერის მიერ გადადგმული ნაბიჯები ვერ პასუხობს დროითი ეფექტურობის გონივრულ სტანდარტს და საფრთხის ქვეშ აყენებს დასაქმებულთა ჯანმრთელობას.

სახალხო დამცველის წარმოებაში კიდევ ორი განცხადებაა, სადაც დასაქმებული პირების სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მერების მხრიდან განხორციელებულ დისკრიმინაციის ფაქტებზე მიუთითებენ.

1.7. დისკრიმინაცია სოციალური სარგებლის მიღებისას

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა, რომ სახელმწიფო ზოგ შემთხვევაში დისკრიმინაციულ სოციალურ პოლიტიკას ატარებს, ვინაიდან სოციალური თუ ჯანდაცვის პროგრამებით დაწესებული კრიტერიუმები გარკვეული ჯგუფებისთვის, მათ შორის, შშმ და განსაკუთრებით აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანებისთვის, ამ პროგრამებით სარგებლობის საშუალებას გამორიცხავს. რიგ შემთხვევებში ადამიანები ვერ სარგებლობენ სოციალური პროგრამებით, ვინაიდან არ არიან საქართველოს მოქალაქეები.

მაგალითად, რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამაში მონაწილეობის უპირატესობა სხვა პრიორიტეტულ ჯგუფებთან ერთად ენიჭებათ 5 წლამდე

23 იხ. ვებ-გვერდი: http://www.ombudsman.ge/ge/news/pirdapiri-diskriminaciis-dadgenipirdapiri-diskriminaciis-dadgenis-sesaxeb-rekomendacia-teqnikur-universitetss-shesaxeb-rekomendacia-teqnikur-universitets.page

24 იხ. ვებ-გვერდი: http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/saqartvelos-saxalxo-damcvelma-tamaz-mechiauris-winaagmdeg-diskriminacia-daadgina.page

ბავშვებს,[25] რის გამოც 5 წელს ზემოთ ასაკის ბავშვებს დაფინანსება უწყდებათ და მომლოდინეთა სიაში გადადიან. ასეთი დამოკიდებულება აფერხებს მკურნალობის უწყვეტობას და საფრთხეს უქმნის პროგრამით მიღწეული შედეგის შენარჩუნებას. ასევე, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული „ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის“[26] სამიზნე ჯგუფში 7 წლამდე ბავშვები არიან; ხოლო, „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამით“[27] სარგებლობისთვის აუცილებელია პირი ბოლო 3 წლის განმავლობაში რეგისტრირებული იყოს თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (2 წლის ბავშვების შემთხვევაში - 2 წლის განმავლობაში).

დისკრიმინაცია გამოვლინდა ჭიათურის მუნიციპალიტეტშიც, სადაც კომუნალური გადასახადების გადახდის უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება მხოლოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე უსინათლო პირებზე გაიცემა.[28] მსგავსი სარგებელი კი არ არის შეთავაზებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა სახის შეზღუდვის მქონე მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისთვის.[29]

სახალხო დამცველს არაერთხელ მოუხდენია რეაგირება სხვადასხვა მუნიციპალიტეტების სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით. მაგალითად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების თანახმად, სოციალური დახმარების მიღების მიზნებისთვის „მარტოხელა მშობლის“ სტატუსი მხოლოდ ქალებისთვის იყო გათვალისწინებული;[30] ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამის თანახმად კი ახალდაქორწინებული წყვილის მიერ ფულადი დახმარების მიღების წინაპირობად მეუღლე მამაკაცი ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაცია წარმოადგენდა.[31] აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის მიმართვის შემდეგ დისკრიმინაციული მიდგომა ორივე მუნიციპალიტეტმა აღმოფხვრა.

---

25 საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის N102 დადგენილებით გათვალისიწინებული რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

26 საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 მარტის N121 დადგენილებით გათვალისწინებული ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

27 თბილისის საკრებულოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის 26 დეკემბრის 8-22 დადგენილებით გათვალისწინებული აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

28 ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 მარტის N7 დადგენილება.

29 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 25 სექტემბრის რეკომენდაცია ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4762.pdf

30 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 7 მარტის საჯარო განცხადება, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/ge/news/zestafonis-municipalitetis-sakrebulom-savaraudo-diskriminacia-agmofxvra.page

31 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 23 იანვრის საჯარო განცხადება: ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-shefasebit-bordjomis-municipalitetis-axaldaqorwinebulta-programa-diskriminaciulia.page

მოქალაქეობის ნიშნით ასოციაციით დისკრიმინაცია იკვეთება ოჯახისთვის საარსებო შემწეობის დანიშვნისას, რადგან იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის რომელიმე წევრს არ გააჩნია საქართველოს მოქალაქეობა ან ბინადრობის მოწმობა, მთელი ოჯახი საარსებო შემწეობის გარეშე რჩება.[32] ამ საკითხის მარეგულირებელი აქტების თანახმად, საარსებო შემწეობის დასანიშნად განაცხადის შევსებისას ოჯახის წარმომადგენელმა თან უნდა იქონიოს *საკუთარი და ოჯახის დეკლარაციის მიხედვით ოჯახის ყველა წევრის პირადობის/ბინადრობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია დოკუმენტის მფლობელის პირადი ნომერი.*[33] გარდა ამისა, *სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია პირადად შეამოწმოს თითოეული წევრის პირადობის/ბინადრობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი და იქიდან ამოიწეროს პირადი ნომრები.*[34]

სოციალური ბენეფიტით სარგებლობის პროცესში მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაცია ასევე ვლინდება,[35] როდესაც გარკვეული უფლებით მოსარგებლედ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები არიან განსაზღვრული, საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირები კი, რომლებიც დაწესებულ გადასახადებს საქართველოს მოქალაქეების მსგავსად იხდიან და, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობის მიზნებისთვის, მათთან თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან, მსგავს სარგებელს ვერ იღებენ. ასეთი შემთხვევების შესახებ სახალხო დამცველმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროს სამ სხვადასხვა პროგრამასთან მიმართებით იმსჯელა და სამინისტროს მოუწოდა, ჯანდაცვის პოლიტიკის დაგეგმვისას საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირებზე საქართველოს მოქალაქეების მსგავსი მიდგომა გაავრცელოს.

1.8. დისკრიმინაციის წახალისება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, *აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის იძულებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას მესამე პირის მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის განსახ-*

32 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 2 ოქტომბრის რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4818.pdf

33 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს N225/ნ ბრძანების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

34 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის N141/ნ ბრძანების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.

35 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 5 ოქტომბრის რეკომენდაცია საქართველოს მთავრობისა და შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4837.pdf ; საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 4 აპრილის რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5184.pdf

ორციელებლად. დისკრიმინაციის *წახალისებასა* და *ხელშეწყობას* სახალხო დამცველი განმარტავს იმგვარ ქმედებად, რომელსაც შესწევს უნარი, მომავალში რომელიმე ჯგუფის მიმართ დისკრიმინაცია გამოიწვიოს.

დისკრიმინაციასთან ეფექტიანად ბრძოლის თვალსაზრისით, ცალკეულ შემთხვევებში დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის პარალელურად, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ისეთი შემთხვევების გამოვლენას და პრევენციას, რომლებიც ხელს უწყობს და ახდენს დისკრიმინაციის წახალისებას. უფრო მეტიც, დისკრიმინაციის წახალისება, შესაძლოა, საზოგადოებისთვის დისკრიმინაციის ცალკეულ ფაქტზე უფრო მეტი ზიანის მომტანი აღმოჩნდეს, ვინაიდან ხშირად დისკრიმინაციის წახალისების კონტექსტი სცდება კონკრეტულ შემთხვევას და მჭიდრო კავშირშია საზოგადოებაში დამკვიდრებულ მანკიერ სტერეოტიპებთან. დისკრიმინაციის წახალისებას, როგორც წესი, ერთი მხრივ საჯარო პირების გამონათქვამები, მეორე მხრივ კი დისკრიმინაციული კომერციული რეკლამები იწვევს.

პრობლემის მასშტაბურობის გამო, წინა საანგარიშო წელს[36] სახალხო დამცველმა შეისწავლა საქართველოს VIII მოწვევის პარლამენტის წევრთა გამონათქვამები, რომლებიც ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ლგბტ+ თემის და რელიგიური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციული განწყობების გაძლიერებას უწყობდა ხელს და პარლამენტს ზოგადი წინადადებით მიმართა.[37] ზოგად წინადდებაში სახალხო დამცველი აღნიშნავდა, რომ მიუღებელია პოლიტიკურ დისკურსში „სიძულვილის ენის" გამოყენება, მიუხედავად იმისა, ექცევა თუ არა იგი პარლამენტარის სიტყვის თავისუფლების ფარგლებში.

სამწუხაროდ, თანამდებობის თუ სხვა საჯარო პირების მხრიდან დისკრიმინაციული გამონათქვამების შემთხვევები მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც არაერთხელ დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ ასეთი გამონათქვამების ავტორები სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები არიან. დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამებს ვხვდებოდით პოლიტიკოსთა, მოსამართლეობის კანდიდატთა და აკადემიის წარმომადგენელთა გამონათქვამებში, ასევე, საკანონმდებლო აქტებში, მედიასა და კერძო ბიზნეს სუბიექტების სარეკლამო საქმიანობაში.

პოლიტიკური თანამდებობის პირები

სახალხო დამცველი გამოეხმაურა მარნეულის ყოფილი მერის თემურ აბაზოვისა და სოფელ კაჩაგანის მოსახლეობის შეხვედრას,[38] რომელსაც მხოლოდ მამაკაცები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე მყოფთა თქმით, მათი მეუღლეებისათვის სოფლის ცენტრში მისვლა არ შეიძლება, ზოგიერთმა კი ქალების არყოფნის მიზეზად სადილის გაკეთება დაასახელა. აღნიშნულ მსჯელობას დაეთანხ-

36 სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ. გვ. 34

37 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 6 თებერვლის ზოგადი წინადადება საქართველოს პარლამენტის მიმართ, ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/uploads/other/4/4192.pdf

38 იხ. ვებ-გვერდი: http://old.marneulifm.ge/ka/2017/11/13/meris-pirveli-shexvedra-mosaxleobastan/

მა ასევე მარნეულის მერი, რომელმაც აღნიშნა, რომ *ალბათ, ამ დროს, შუადღე არის და თავიანთი მეუღლეებისათვის საკვებს ამზადებენ.*[39] საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა კრიტიკულად შეაფასა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვახტანგ შაქარიშვილის მიერ საჯარო განხილვაში მონაწილე პირების მისამართით გამოთქმული სექსისტური რეპლიკა[40] და ბათუმის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრის არჩილ მამულაძის სექსისტური ხასიათის მოსაზრებები,[41] რომლის თანახმად, ბავშვზე ზრუნვა ქალის პრეროგატივაა, ხოლო საზოგადოებაში მამაკაცს დომინანტური როლი აქვს დაკისრებული და რომ ქალებს კარგი მენეჯერული უნარი აქვთ და მათი აზრის მოსმენაც მნიშვნელოვანია, თუმცა, *უმჯობესია, პირველი სიტყვა მამაკაცმა თქვას.* სახალხო დამცველმა რეაგირება მოახდინა ასევე თბილისის საკრებულოს წევრის ვატო შაქარაშვილი გამონათქვამზე, რომელმაც პოლიტიკურ ოპონენტებს მიმართა „ბოზი ქალებივით ყვირიხართ-ო."

ყველაზე ხშირად დისკრიმინაციული გამონათქვამები სწორედ ქალებისადმია მიმართული. საქართველოში ქალთა თანასწორუფლებიანობა და ქალთა თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ერთ-ერთ გამოწვევად რჩება, ხოლო საზოგადოებაში ღრმად არის გამჯდარი სტერეოტიპები, რომელიც, ცალკეულ შემთხვევებში ქალს დამამცირებელ მდგომარეობაში წარმოაჩენს. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პოლიტიკურ პროცესებში ჩართულ პირთა მიერ სექსისტური და დისკრიმინაციული ხასიათის გამონათქვამები აკნინებს საზოგადოებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობას და ხელს უშლის გენდერული თანასწორობის მიღწევას

ამასთან, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილე პირებს, განსაკუთრებით იმ პოლიტიკურ სუბიექტს, რომლის პირდაპირ მოვალეობას გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და თანასწორობის პრინციპის დანერგვა წარმოადგენს, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, რომ მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკისრიათ, ხელი შეუწყონ თანასწორობის პრინციპის დაცვას. მათი მხრიდან გამოთქმული სექსისტური თუ სხვა სახის დისკრიმინაციული შინაარსის შემცველი გამონათქვამების გამოყენებას, შესაძლოა დამანგრეველი ეფექტი ჰქონდეს ქვეყანაში თანასწორობისთვის ბრძოლის პროცესზე.

წინა წელს სახალხო დამცველი ასევე გამოეხმაურა ქედის საკრებულოს დეპუტატების მიერ ქალებისთვის სხდომათა დარბაზის დატოვების მოთხოვნის ფაქტსა[42] და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მედეა ვასაძისა და ექსპერტისა და პოლიტოლოგის გია ხუხაშვილის გამონა-

39 იხ. ვებ-გვერდი: http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelis-marneulis-meris-seqsistur-gamonatqvams-exmianeba.page

40 იხ. ვებ-გვერდი: http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcveli-vaxtang-shaqarishvilis-seqsistur-gamonatqvams-kritikulad-afasebs.page

41 იხ. ვებ-გვერდი: http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcveli-batumis-sakrebulos-genderuli-tanasworobis-sabchos-wevris-seqsistur-gamonatqvamebs-exmianeba.page

42 იხ. ვებ-გვერდი: http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcveli-qedis-sakrebulos-wevrebis-seqsistur-gamonatqva-mebs-exmianeba.page

თქვამებს, რომელთა განცხადებით, პარლამენტის თავმჯდომარე „პოლიტიკურ აუტიზმში“ იმყოფებოდა.[43]

მოსამართლე

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველი ასევე გამოეხმაურა[44] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ლილი მსხილაძის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ დანიშვნას, რა დროსაც მედიით[45] გავრცელდა მის მიერ სოციალურ ქსელში 2013 წლის 17 მაისს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღეს გამართულ აქციაზე გამოთქმული მოსაზრება. კერძოდ, ლილი მსხილაძემ ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა უფლებებისათვის ბრძოლის პროცესს *ავადმყოფობა* და *უმსგავსობა* უწოდა. ზემოხსენებული ფაქტის შეფასებისას სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ მოსამართლეთა გამწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა გადაამოწმოს და მხედველობაში მიიღოს მოსამართლეთა მიერ ისეთი ღირებულებებისადმი ერთგულება, როგორიც არის თანასწორობა, დისკრიმინაციის აკრძალვა და შემწყნარებლობა, მით უმეტეს ისეთი მაღალი ლეგიტიმაციის პირთან მიმართებით, როგორიც უვადოდ დანიშნული მოსამართლეა.

მედია

მედიას, როგორც საზოგადოებრივი აზროვნების ფორმირებაზე ზეგავლენის უნარის მქონე აქტორს, განსაკუთრებული როლი ეკისრება ქვეყანაში თანასწორობის იდეის დამკვიდრების ხელშეწყობაში. მნიშვნელოვანია, რომ მედია არ იყო დისკრიმინაციული გამონათქვამების გამავრცელებელი. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით[46] მიმართა მედია საშუალება შპს „პირველს“, ვინაიდან მიიჩნია, რომ სიუჟეტში, ჟურნალისტის მიერ, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბოშა ბავშვების მიმართ გამოყენებული ტერმინი „ციგანი“ დისკრიმინაციის წამახალისებელია, აქვს ნეგატიური დატვირთვა და აძლიერებს ბოშა ბავშვების მიმართ არსებულ სტიგმას.

აკადემიური სფერო

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში დისკრიმინაციის წახალისების შემთხვევა აკადემიურ სფეროშიც დაფიქსირდა, როდესაც უნივერსიტეტის პროფესორი

43 იხ. ვებ-გვერდი: http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcveli-autizmis-speqtris-mqone-adami-anebis-mimart-gamotqmul-sheuracxmyofel-gamonatqvamebs-exmianeba.page

44 იხ. ვებ-გვერდი: http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcveli-iusticiis-umaglesi-sabchos-gadawyvetilebas-tanasworobis-principtan-sheusabamod-miichnevs1.page

45 იხ. ვებ-გვერდი: http://www.tabula.ge/ge/story/130045-dghes-uvadod-danishnulma-mosamartlem-2013-tslis-17-maiss-homofobiuri-gancxadeba-gaaketa

46 იხ. ვებ-გვერდი: http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/zogadi-winadadeba2/saqartvelos-saxalxo-damcvelma-termini-cigani-quchashi-mcxovrebi-da-momushave-bavshvebis-mimart-diskriminaciis-wamaxaliseblad-miichnia.page

სწავლების პროცესში იყენებდა ჰომოფობიური შინაარსის შემცველ სახელმძღვანელოს და ასევე გამოთქვამდა ჰომოფობიურ მოსაზრებებს. აღნიშნულის გამო, სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით[47] მიმართა ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეიმუშავოს რეგულაციები, რომელიც ლექტორს ლექციის განმავლობაში დისკრიმინაციული გამონათქვამების გავრცელებას აუკრძალავს.

კერძო ბიზნეს სუბიექტები

პროდუქტის გაყიდვის მიზნით გამოყენებული დისკრიმინაციული რეკლამები ამ საანგარიშო პერიოდშიც პრობლემური იყო. სახალხო დამცველმა უარყოფითად შეაფასა შპს „მარსის"[48] (კრისტალბეთი) და სს „წყალი მარგებელის"[49] მარკეტინგული კამპანიები.

ერთ შემთხვევაში „კრისტალბეთის" სარეკლამო პოსტერზე გაკეთებული იყო წარწერა – „სლოტები რომელიც იძლევა", ხოლო გვერდზე გამოსახული იყო ქალი. მეორე შემთხვევაში ენერგეტიკული სასმელის „ბუღას" შეფუთვაზე გაკეთებულ ილუსტრაციაზე გადახაზული იყო ქალი და მითითებული იყო წარწერა „არ არის გოგონებისათვის".

სავარაუდო დისკრიმინაციის წამახალისებელი რეკლამის შესწავლისას სახალხო დამცველი ერთი მხრივ მსჯელობს გამოხატვის თავისუფლების შესახებ, მეორე მხრივ კი აფასებს, რა გავლენა შეიძლება იქონიოს რეკლამამ რომელიმე დაუცველი ჯგუფის თანასწორუფლებიანობაზე. კომერციული საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული პირების ინტერესს პროდუქტის გაყიდვა და რეკლამის მეშვეობით მისი პოპულარიზაცია წარმოადგენს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულით არ მოხდეს კონკრეტული ჯგუფების სტიგმატიზაცია ან/და მათ მიმართ სტერეოტიპული შეხედულებების ჩამოყალიბება და გამყარება.

საკანონმდებლო აქტები

დისკრიმინაციის წამახალისებელი ტერმინოლოგია ასევე გვხვდება საკანონმდებლო აქტებში. ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით[50] მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და მთავრობის სახელით

47 იხ. ვებ-გვერდი: http://www.ombudsman.ge/ge/news/zogadi-winadadeba-tbilisis-saxelmwifo-universitets-profesoris-mier-gamotqmuli-homofobiuri-mosazrebebis-gamo.page

48 იხ. ვებ-გვერდი: http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelis-pozicia-kristalbetis-seqsistur-sareklamo-postertan-dakavshirebit.page

49 იხ. ვებ-გვერდი: http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/zogadi-winadadeba2/saqartvelos-saxalxo-damcveli-miichnevs-rom-bugas-reklamebi-seqsisturia.page

50 იხ. ვებ-გვერდი: http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/zogadi-winadadeba2/saqartvelos-saxalxo-damcvelma-normatiul-aqtebshi-gamoyenebuli-termini-odjaxis-ufrosi-diskriminaciis-wamaxaliseblad-miichnia.page

გამოცემულ საკანონმდებლო აქტებში[51] გამოყენებული ტერმინის „ოჯახის უფროსის“ სხვა უფრო ნეიტრალური ფორმით მოდიფიცირება მოითხოვა.

მართალია, სადავო აქტში პირდაპირ არ არის მითითებული თუ ვინ არის, ან ვინ უნდა იყოს ოჯახის უფროსი, თუმცა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ტრადიციულ წარმოდგენებში „ოჯახის უფროსად“ მოიაზრებოდა მამაკაცი, რომელიც მისი სქესის გამო ოჯახში გადაწყვეტილების მიმღები პირი იყო. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ თანამედროვეობაში აღნიშნული ტერმინის გამოყენება ამყარებს ქალის შესახებ სტერეოტიპულ წარმოდგენებს, რომ ქალი ოჯახის მეორეხარისხოვანი წევრია, არ არის თანასწორად გადაწყვეტილების მიმღები და დოვლათის შემომტანი, რაც, თავის მხრივ, სქესის საფუძველზე ნეგატიური შეხედულებების წამახალისებელია.

ამასთან, სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ ოჯახის, როგორც საზოგადოების უმნიშვნელოვანესი სოციალური უჯრედის მთავარი მახასიათებელი არის თანასწორობა და პირთა თანაბარი მონაწილეობა შინამეურნეობის საქმიანობაში. საკანონმდებლო დონეზე ასახული ტერმინი კი თავისივე შინაარსში ეწინააღმდეგება თანასწორობის პრინციპს და ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს ერთი რომელიმე პირის დომინირებას.

1.9. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების ხარვეზები

2015 წლიდან სახალხო დამცველის აპარატში დიდი რაოდენობით შემოდიოდა განცხადებები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებების არაეფექტიანობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომლის ერთ-ერთი ფუნქცია სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობის მონიტორინგია, რაც დისკრიმინაციულ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით გადადგმული ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ამასთან, საქართველოს პროკურატურის მიერ 2018 წლის 31 აგვისტოს მოწოდებული ინფორმაციით, გაუმჯობესებულია სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მაჩვენებელი. თუმცა, წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, ასეთი დანაშაულების გამოძიება კვლავ გამოწვევად რჩება. დისკრიმინაციული დანაშაულების სავარაუდო მსხვერპლი, უმეტეს შემთხვევაში რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები და ლგბტ+ თემის წარმომადგენლები არიან. წინა წლის მსგავსად, სახალხო დამცველისთვის ბუნდოვანია, თუ კონკრეტულ საქმეებთან მიმართებით რა საგამოძიებო მოქმედებები ტარდება სავარაუდო სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით.[52]

51 „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №758 დადგენილება; „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანება.

52 სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, გვ.7.

სახალხო დამცველმა ერთ დოკუმენტში[53] შეიტანა 2015-2018 წლებში შემოსული განცხადებები და საკუთარი ინიციატივით შესწავლილი საქმეები. დოკუმენტი მოიცავს 50-ზე მეტ ფაქტს რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებების გამოძიების პროცესში არსებულ ხარვეზებსა და სამართალდამცავთა მიერ სიძულვილის მოტივით მიყენებულ სავარაუდო ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევებს.

სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეები, ერთი მხრივ მოიცავს სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებს, რომელზეც გამოძიების მიმდინარეობისას სიძულვილის მოტივი არ გამოიკვეთა, შემდეგ კი გამოძიება გაგრძელდა ან შეწყდა, ასევე საქმეებს, რომელზეც გამოძიება, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, არ დაწყებულა. მეორე მხრივ კი სახალხო დამცველი შეისწავლის სამართალდამცავთა მხრიდან სავარუდო დისკრიმინაციული მოტივით განხორციელებულ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს.

სავარაუდო დანაშაულების დიდი ნაწილი, რომლის გამოძიების პროცესში, საგამოძიებო ორგანოების ინფორმაციით, დისკრიმინაციული საფუძველი არ გამოიკვეთა, შემდეგ კი გამოძიება გაგრძელდა, შეწყდა ან დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო არ დაწყებულა, შეეხება იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ ჩადენილ როგორც ძალადობრივ, ასევე სხვა სახის ქმედებებს. სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული მსგავსი ფაქტების თანახმად, იეჰოვას მოწმეები ხდებიან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი - როგორც ერთ-ერთ განცხადებაშია აღნიშნული, იეჰოვას მოწმეებს ავტომანქანით განზრახ შეეჯახა პირი, რომელიც ამ ფაქტამდეც აფიქსირებდა უარყოფით დამოკიდებულებას იეჰოვას მოწმეების მიმართ. სხვა განცხადების თანახმად, მეზობლის მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლი გახდა იეჰოვას მოწმე, რომლის სახლშიც რელიგიური დანიშნულების ღონისძიებები იმართება. ასევე, გვხვდება შემთხვევები, როდესაც სისტემური ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი კვალიფიცირდება როგორც საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილი დანაშაული და არა, მაგალითად, როგორც საქართველოს სისხლი სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით (დევნა) გათვალისწინებული დანაშაული.

იეჰოვას მოწმეები ასევე მიუთითებენ რელიგიური დანიშნულების შენობის ფანჯრებისთვის ქვის სროლის, სტენდებისთვის ცეცხლის წაკიდების და რელიგიური ლიტერატურის განადგურების ფაქტებზე. ამასთან, იეჰოვას მოწმეების განცხადებებში აღნიშნულია, რომ რელიგიური დანიშნულების შენობა სერიოზულად დაზიანდა და ზიანი საერთო ჯამში დიდ თანხას შეადგენს. მსგავსი ფაქტები კვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით (ნივთის დაზიანება ან განადგურება), რის შედეგადაც გამოძიება წყდება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, რადგან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანი არ აღწევს 150 ლარს. არის შემთხვევები, როდე-

53 იხ. ვებ-გვერდი: http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/zogadi-winadadeba2/saxalxo-damcvelma-diskriminaciuli-motivit-chadenili-danashaulebis-gamodziebis-xarvezebtan-dakavshirebit-sagamodziebo-organoebs-mimarta.page

საც გამოძიების შეწყვეტის შემდეგ ფაქტი კვალიფიცირდება როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, თუმცა, პირის სამართალდამრღვევად ცნობის შემთხვევაშიც, ვინაიდან დღეს მოქმედი ადმინისტრაციული კანონმდებლობა არ გამოყოფს დისკრიმინაციულ მოტივს, როგორც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას, გადაწყვეტილებიდან არ იკვეთება, რომ მსხვერპლს ზიანი დისკრიმინაციული საფუძვლით მიადგა.

ასევე, გვხვდება შემთხვევები, როდესაც ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა მიმართ სავარაუდო სიძულვილით ჩადენილი ფაქტის გამოძიებისას, საგამოძიებო ორგანოს ცნობით, მცდელობის მიუხედავად, დისკრიმინაციული მოტივი არ გამოიკვეთა ან, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, გამოძიება არ დაიწყო. თუმცა, ბუნდოვანი რჩება თუ რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა ასეთი მოტივის იდენტიფიცირების მიზნით.

სახალხო დამცველის წარმოებაში ასევე არაერთი განცხადებაა, რომლითაც განმცხადებლები სამართალდამცავთა მხრიდან მიყენებულ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე მიუთითებენ. ასეთი ფაქტები, ძირითადად, ვლინდება ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა მიმართ - პოლიციელები იყენებენ ჰომოფობიურ გამონათქვამებს, ტრანსგენდერ ქალს ეპყრობიან როგორც მამაკაცს. პოლიციელების მხრიდან სავარაუდო შეურაცხყოფის მსხვერპლნი ასევე ხდებიან რელიგიის და ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით, მაგალითად, ერთ-ერთი განმცხადებელი მიუთითებდა, რომ პოლიციელმა მას თავში ხელი ჩაარტყა და დამამცირებელ კონტექსტში უწოდა „ქურთი“.

ზოგადი წინადადებით სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ დანაშაულის გამოძიებისას სავარაუდო სიძულვილის გამოკვეთას არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების აღსრულების, არამედ ასევე მომავალში მსგავსი დანაშაულის პრევენციისთვის.სახალხო დამცველმა ასევე ხაზი გაუსვა არსებულ საგამოძიებო სისტემაში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის შექმნის საჭიროებას, რომელიც დაკომპლექტებული იქნება დაუცველი ჯგუფების მიმართ წინასწარი განწყობით ჩადენილი დანაშაულებების პრევენციაზე და დროულ და ეფექტიან გამოძიებაზე გადამზადებული კადრებით. ამასთან, არსებული პრობლემების ნათლად გამოსაკვეთად, სახალხო დამცველის მოსაზრებით, საჭიროა შემუშავდეს აღრიცხვისა და სტატისტიკის წარმოების გამართული სისტემა, რომლითაც ასევე გაანალიზებული იქნება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამომწვევი რისკ-ფაქტორები და მისი გამოვლენის ხელისშემშლელი გარემოებები.

2. დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის ხარვეზები

დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით არც მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განხორციელებულა ცვლილებები. 2015 წლის თებერვალში სახალხო დამცველის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება, რომელიც იმავე წლის ოქტომბერში პირველი მოსმენით იქნა ინიცირებული, დღემდე არ არის მიღებული.

სახალხო დამცველს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონი, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი დოკუმენტი, ასევე, როგორ დარღვეული უფლების აღდგენის სამართლებრივი საშუალება, საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ უმნიშვნელოვანესი აქტია. თუმცა, კანონმდებლობას გააჩნია ხარვეზები, რაც პრაქტიკაში დაბრკოლებას ქმნის და ამის შესახებ სახალხო დამცველი თანასწორობის შესახებ წინა ანგარიშებშიც აღნიშნავდა.

როგორც თანასწორობის შესახებ წინა სპეციალურ ანგარიშში[54] იყო აღნიშნული, ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში პროცედურულ-სამართლებრივი ცვლილებების სახით, აუცილებელია, გაიწეროს კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირების ვალდებულება, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმის შესწავლისას სახალხო დამცველს ინფორმაცია მიაწოდონ და რეკომენდაციებისა და ზოგადი წინადადებების განხილვის შედეგები გააცნონ. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლის მიერ სასამართლოსთვის მიმართვის 3 თვიანი ვადა ერთ წლამდე გაიზარდოს.

ამასთან, კვლავ პრობლემურად რჩება კანონმდებლობის მატერიალურ-სამართლებრივი ხარვეზები. საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული დისკრიმინაციის ისეთი ფორმები, რომელთა გამოსავლენად „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" მე-2 მუხლში გაწერილი პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციისგან განსხვავებული ტესტი გამოიყენება, შესაბამისად, დისკრიმინაციის ამგვარი ფორმები დამოუკიდებელ რეგულირებას საჭიროებს. კერძოდ, ანტიდისკრიმინაციული კანონით არ არის გათვალისწინებული უარი გონივრულ მისადაგებაზე, შევიწროება და სექსუალური შევიწროება. ამასთან, კანონით გაწერილი ზოგიერთი ფორმა - ვიქტიმიზაცია, მრავალი ნიშნით დისკრიმინაცია და ბრძანება დისკრიმინაციაზე დახვეწას საჭიროებს.

აღნიშნული მატერიალურ-სამართლებრივი ხარვეზების მიუხედავად, სახალხო დამცველი საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით განიხილავს დისკრიმინაციის ყველა შესაძლო შემთხვევას, თუმცა, აუცილებელია ზემოაღნიშნული ცნებების ზუსტი რეგლამენტაცია, რომ სავარაუდო მსხვერპლისთვის, დისკრიმინაციის ჩამდენისთვის თუ საქმის განმხილველი ორგანოსთვის ნორმის არსი მეტად განჭვრეტადი იყოს.

54 დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2017, გვ. 35-36

3. საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით სავარაუდო დისკირმინაციის ფაქტების განხილვაზე კომპეტენტურ მექანიზმებად საერთო სასამართლოები და საქართველოს სახალხო დამცველი განისაზღვრა. ამ ფუნქციის შესრულების მიზნით, 2014 წლის ნოემბერში სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა თანასწორობის დეპარტამენტი, რომლის მეშვეობით სახალხო დამცველი დისკრიმინაციასთან ბრძოლის ფუნქციას ახორციელებს. დეპარტამენტის ფუნქციებს წარმოადგენს სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევების შესწავლა და თანასწორობის უფლების შესახებ საგანმანათლებლო საქმიანობა.

საქმისწარმოების ფარგლებში დეპარტამენტი განიხილავს დისკირმინაციის ან დისკირმინაციის წახალისების შესაძლო ფაქტებს და დადგენის შემთხვევაში, დისკირმინაციის ჩამდენ ან წამახალისებელ საჯარო უწყებას, კერძო სამართლის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს რეკომენდაციით ან ზოგადი წინადადებით მიმართავს. ინდივიდუალური საქმეების შესწავლის პარალელურად, დეპარტამენტი გამოკვეთს თანასწორობის მდგომარეობის მხრივ არსებულ ზოგად პრობლემებს და რეკომენდაციით/ზოგადი წინადადებით მიმართავს მოპასუხეს.

თანასწორობის შესახებ საგანმანათლებლო საქმიანობის მიმართულებით თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისთვის ატარებენ ტრენინგებს, მართავენ შეხვედრებს რეგიონებში მოსახლეობასთან, დაინტერესებულ მხარეებთან პროფესიულ სფეროში, ამზადებენ ვიდეო რგოლებს, ბუკლეტებს, მართავენ ქუჩის აქციებს.

ამ ეტაპზე თანასწორობის დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის დეპარტამენტის უფროსი, 4 მთავარი სპეციალისტი და 2 სამართლებრივი კონსულტანტი.

3.1. საქმისწარმოება

წინა საანგარეშო პერიოდში[55] სახალხო დამცველმა მომართვის და საკუთარი ინციატივის საფუძველზე 201 სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტი შეისწავლა, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში[56] კი ასეთი 159 შემთხვევა იყო, ამათგან, 9 შემთხვევაში სახალხო დამცველმა წარმოება საკუთარი ინიციატივით დაიწყო. 2018 წელს თანასწორობის დეპარტამენტმა შეიმუშავა დასაშვებობის კრიტერიუმები, რომელიც განმცხადებლისთვის მინიმალურ სტანდარტს ადგენს. კერძოდ, იმისათვის, რომ განცხადება თანასწორობის დეპარტამენტმა განიხილოს, მითითებული უნდა იყოს დისკრიმინაციის სავარაუდო ჩამდენი, შესადარებელი სუბიექტი და დისკრიმინაციისგან დაცული ნიშანი.

55 2016 წლის 1 სექტემბრიდან 2017 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი
56 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2018 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი

ცხრილი N1: საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი განცხადებების რაოდენობა 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2018 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით



წინა წელთან შედარებით შეცვლილია მონაცემები დისკრიმინაციისგან დაცული საფუძვლების მიხედვით. სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეების ყველაზე დიდი ნაწილი - 16% წელს სქესის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევებს შეეხება, წინა პერიოდში ეს მონაცემი მხოლოდ 6%-ს წარმოადგენდა. სქესის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტების რაოდენობის ზრდა, ძირითადად, სექსუალური შევიწროების შესახებ საჩივრების რაოდენობის ზრდით არის განპირობებული.

განსხვავებული მოსაზრების და პოლიტიკური შეხედულების გამო სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტების პროცენტული რაოდენობა ემთხვევა წინა საანგარიშო პერიოდის მონაცემებს და კვლავ 12% და 9%-ია.

მიმდინარე წელს რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციაზე განმცხადებელთა 11% დავობდა, ეთნიკური წარმომავლობის და სექსუალური ორიენტაციის ანდა გენდერული იდენტობის გამო დისკრიმინაციაზე კი 8-8% მიუთითებდა. წინა წელს სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტები რელიგიის ნიშნით - 10%-ს, ეთნიკური

წარმომავლობის ნიშნით - 7%-ს, სექსუალური ორიენტაციის ანდა გენდერული იდენტობის გამო კი 11%-ს შეადგენდა.

შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევები განცხადებების 6%-ში გამოიკვეთა, შარშან კი ამ ნიშნით დისკრიმინაციაზე განმცხადებელთა 9% დავობდა. ასაკის და მოქალაქეობის გამო განსხვავებულ მოპყრობას საქმეთა 3 და 2 პროცენტში ვხვდებით, წინა წელს ეს მონაცემი ორივე ნიშნის შემთხვევაში 4-4 პროცენტს შეადგენდა.

წინა წელთან მსგავსი მონაცემებია შემოსული განცხადებების მხრივ, რომელშიც სხვა დაცული საფუძველი იყო მითითებული ან ნიშანი საერთოდ არ გამოიკვეთა. წელს სხვა ნიშნით დისკრიმინაციაზე განმცხადებელთა 14% დავობდა, განცხადებების 11%-ში კი ნიშანი არ გამოიკვეთა. გასულ წელს ეს მონაცემი ორივე შემთხვევაში 13-13%-ს შეადგენდა.

ცხრილი N2: მონაცემები წინა საანგარიშო წელთან შედარებით



ცხრილი N3: დისკრიმინაციის ჩადენის სფერო

მიმდინარე პერიოდში სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტების 69% საჯარო სექტორს, 31% კი კერძო სექტორს მიემართებოდა. წინა წელს განმცხადებლები 73%-ში საჯარო სექტორში, 27%-ში კი კერძო სექტორში ჩადენილ დისკრიმინაციის ფაქტებზე მიუთითებდნენ.



3.1.1. ზეპირი მოსმენა და წარმომადგენლობა

საანგარიშო პერიოდში თანასწორობის დეპარტამენტი, საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, აქტიურად იყენებდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ფუნქციას, რომელიც სახალხო დამცველს ორივე მხარის მონაწილეობით ზეპირი მოსმენის გამართვის უფლებამოსილებას ანიჭებს. აღსანიშნავია, რომ ზეპირი მოსმენის ჩატარება სახალხო დამცველის დისკრეციას განეკუთვნება და იმართება ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში. ზეპირი მოსმენისას მხარეებს შესაძლებლობა აქვთ ერთმანეთს დაუსვან კითხვები. სახალხო დამცველი ზეპირი მოსმენის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, როდესაც მხარეებთან პირადი თუ წერილობითი კომუნიკაცია ყველა ფაქტობრივი თუ სამართლებრივი დეტალის სრულყოფილად შესასწავლად საკმარისი არ არის.

წინა წლის მსგავსად, ამ საანგარიშო პერიოდშიც, განმცხადებლების უმრავლესობა სახალხო დამცველს წარმომადგენლის გარეშე მომართავდა. წარმომადგენელი ჩართული იყო განცხადებების 49%-ში. ამათგან, „თანასწორობის კოალიციის“[57] წევრი ორგანიზაციები განმცხადებელთა 19%-ს წარმოადგენდნენ.

57 „თანასწორობის კოალიციის“ წევრები არიან: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, საფარი“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „იდენტობა“, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ და „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“

ცხრილი N4



3.1.2. გადაწყვეტილებები

საქართველოს სახალხო დამცველმა 21 საქმეზე დაადგინა დისკრიმინაციის და 9 ფაქტთან მიმართებით დისკრიმინაციის წახალისების ფაქტი და რეკომენ-დაციებითა და ზოგადი წინადადებებით 22 შემთხვევაში - საჯარო უწყებას, 8 შემთხვევაში კი - კერძო პირს მიმართა. საერთო სასამართლოებში სასამართ-ლოს მეგობრის მოსაზრება თანასწორობასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხზე სამჯერ წარადგინა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საკითხზე 6 საჯარო განცხადება გააკეთა.

ცხრილი N5: საქართველოს სახალხო დამცველის გადაწყვეტილებები დისკრიმინაციის შემთხვევებზე



3.1.3. აღსრულების მექანიზმი

დისკრიმინაციასთან ბრძოლის მანდატის ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველი გამოსცემს ორი სახის გადაწყვეტილებას: რეკომენდაციებს - დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ და ზოგად წინადადებებს - დისკრიმინაციას წახალისების შემთხვევებთან დაკავშირებით. გადაწყვეტილებებს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. თუმცა, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის თანახმად, საჯარო უწყება ვალდებულია სახალხო დამცველს რეკომენდაციის/ზოგადი წინადადების მიღებიდან 20 დღის განმავლობაში აცნობოს მისი განხილვის შედეგები.

წინა საანგარიშო პერიოდში განხილული იყო შესრულების შესახებ ინფორმაცია იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომელიც თანასწორობის დეპარტამენტმა შექმნიდან - 2014 წლის ნოემბრიდან 2017 წლის 31 აგვისტოს პერიოდში მოამზადა.[58] წინამდებარე თავში წარმოდგენილია ინფორმაცია 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2018 წლის 31 აგვისტოს პერიოდში გაცემული რეკომენდაციების და ზოგადი წინადადებების ადრესატთა მიერ გადაწყვეტილებების განხილვის შედეგების შესახებ.

როგორც წესი, საჯარო პირები სახალხო დამცველს აწვდიან ინფორმაციას რეკომენდაციის/ზოგადი წინადადების განხილვის შედეგების შესახებ, რომლის თანახმადაც, უმეტეს შემთხვევაში, იზიარებენ სახალხო დამცველის პოზიციას. თუმცა, ხშირად მოპასუხეების მითითებით, ობიექტური მიზეზების გამო, გადაწყვეტილების შესრულება სხვადასხვა ღონისძიებების გატარებასთან არის დაკავშირებული, რომლის განხორციელებაც გრძელვადიან პერსპექტივაში არის შესაძლებელი.

რაც შეეხება კერძო პირების მიერ სახალხო დამცველის გადაწყვეტილების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოწოდებას, გარდა იმისა, რომ მათ ეს ვალდებულება კანონით არ გააჩნიათ, სამწუხაროდ, პრაქტიკაშიც ხშირია შემთხვევები, როდესაც ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირები სახალხო დამცველისგან მიღებულ რეკომენდაციას/ზოგად წინადადებას უპასუხოდ ტოვებენ.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა პირველად გამოიყენა მისთვის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილება და რეკომენდაციის აღსრულების მოთხოვნით სასამართლოს მიმართა. აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მანდატის ფარგლებში *უფლებამოსილია, როგორც დაინტერესებულმა პირმა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება, თუ ადმინ-*

58 დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2017, გვ.37-45.

ისტრაციულმა ორგანომ მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს.

აღნიშნული მექანიზმი სახალხო დამცველმა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და შპს „ქობულეთის წყალის" მიმართ გაცემული რეკომენდაციის[59] აღსრულების მიზნით პირველად გამოიყენა და ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოპასუხეების მიერ რეკომენდაციით გათვალისწინებული ქმედებების შესრულების დავალდებულება მოსთხოვა. რეკომენდაციის თანახმად, ქობულეთში მუსლიმი თემი იჯარით აღებულ შენობაში ვერ ხსნის პანსიონს, რადგან, ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო, შენობის წყალარინების სისტემაზე შეერთება ვერ ხერხდება. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სახალხო დამცველის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა.

3.2. ურთიერთობა საერთაშორისო ინსტიტუტებთან

2018 წლის 7 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველი, როგორც დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმი, თანასწორობის ორგანოების ევროპული ქსელის (Equinet) წევრი გახდა. სახალხო დამცველი 2014 წლიდან არის Equinet-ის დამკვირვებელი წევრი, ვინაიდან აქამდე გაწევრიანების ერთ-ერთ წინაპირობას ევროკავშირის წევრობა წარმოადგენდა. 2017 წლის ოქტომბერში ყოველწლიურ შეხვედრაზე Equinet-ის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, ორგანიზაციის წესდებაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, გაწევრიანების შესაძლებლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებსაც მიეცათ, რის შემდეგაც სახალხო დამცველმა ორგანიზაციას გაწევრიანების თხოვნით მიმართა.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა პირველად მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მესამე მხარის ინტერვენციით საქმეზე Tkhelidze v. Georgia (N33056/17), სადაც, მათ შორის, ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) განიხილებოდა. სახალხო დამცველმა ევროპულ სასამართლოს მიაწოდა ინფორმაცია 2014-2016 წლებში საქართველოში მომხდარი ფემიციდის შემთხვევებზე, ფემიციდის პრევენციის, მონიტორინგისა და რისკების შეფასების მექანიზმსა და საგამოძიებო ორგანოების წინაშე არსებული პრობლემების შესახებ. ასევე, ყურადღება გაამახვილა საქართველოში ქალების, როგორც ერთ-ერთი დაუცველი ჯგუფის თანასწორობის მდგომარეობასა და მათ მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციის ფაქტებზე. საჩივრის თანახმად, პოლიციას არაერთხელ ეცნობა ქალის მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობის და მკვლელობის მუქარის შესახებ, თუმცა შეტყობინებებს ქმედითი რეაგირება არ მოჰყოლია. დავის საგანს წარმოადგენს პოლიციის მხრიდან პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობა, დაეცვა

59 საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 19 სექტემბრის რეკომენდაცია ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და შპს „ქობულეთის წყალის" მიმართ, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3908.pdf

ქალის სიცოცხლე, რაც სქესის საფუძველზე დისკრიმინაციული მოტივით იყო განპირობებული.

სახალხო დამცველმა ასევე ინფორმაცია წარადგინა ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებების[60] აღსრულების პროცესთან დაკავშირებით, რომელიც დისკრიმინაციული მოტივით იეჰოვას მოწმეების ძირითადი უფლებების დარღვევის ფაქტებსა და მასთან დაკავშირებული გამოძიების არაეფექტიანობას შეეხება. სახალხო დამცველმა მინისტრთა კომიტეტისადმი მიმართვაში ასახა ის ხარვეზები, რომელიც პრაქტიკაში სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისას იკვეთება.

3.3. თანასწორობის უფლების შესახებ ინფორმაციის გავრცელება

თანასწორობის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატში ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში". მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული პროექტის მხარდაჭერით, სახალხო დამცველმა თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით არაერთი ღონისძიება ჩაატარა.

2018 წლის 2 მაისს, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების 4 წლისთავთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია „კერძო სექტორის როლი თანასწორობის მიღწევის პროცესში," რაც სახალხო დამცველის მხრიდან კერძო პირების დისკრიმინაციასთან ბრძოლის პროცესში ჩართვის პირველი ინიციატივა იყო. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, გენდერული თანასწორობის საკითხებზე ტრენინგი ჩაუტარეს კერძო კომპანიების თანამშრომლებს. .

საანგარიშო პერიოდში თანასწორობასა და დისკრიმინაციის აკრძალვის თემაზე სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ტრენინგები ჩაატარეს ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების წარმომადგენლებისთვის, საჯარო სკოლების მასწავლებლებისა და ჟურნალისტებისთვის.

ბათუმში, ქუთაისსა და ზუგდიდში სახალხო დამცველის აპარატის თანმშრომლებმა ადგილობრივი ლგბტ+ თემის წარმომადგენლებს ინფორმაცია მიაწოდეს დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ კანონმდებლობასა და აღსრულების მექანიზმების შესახებ.

2017 წლის დეკემბერში, ადამიანის უფლებათა კვირეულის ფარგლებში სახალხო დამცველმა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ქუჩის აქციები გამართა, რომე-

60 Begheluri and others v. Georgia, N28490/02, 07.10.2014; Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and others v. Georgia N28490/02, 71156/01, 03.05.2007.

ლიც თანასწორობის საკითხების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ისახავდ მიზნად.

თანასწორობის დეპარტამენტის წარმოებაში არსებული განცხადებების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა საკითხები, რომელიც სახალხო დამცველის მხრიდან არამხოლოდ სამართლებრივ რეაგირებას, არამედ საზოგადოებასთან უფრო მჭიდრო კომუნიკაციას საჭიროებდა. ამ მიზნით, მომზადდა ვიდეორგოლები, რომლებიც ტელევიზიისა და ინტერნეტის მეშვეობით გავრცელდა. ერთ-ერთი ვიდეორგოლი[61] აუტისტი ადამიანების ქცევის თავისებურებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ისახავს მიზნად. თანასწორობის მდგომარეობის შესახებ წინა ანგარიშში საუბარი იყო აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისა და მათი მშობლებისადმი, მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობისას, მგზავრებისა და მძღოლების მხრიდან გამოვლენილ აგრესიაზე, ვინაიდან საზოგადოების ნაწილს არ აქვს ინფორმაცია აუტისტი ადამიანის საჭიროებებთან დაკავშირებით.[62]

მეორე ვიდეორგოლი[63] პრაქტიკული მაგალითების მეშვეობით განმარტავს თუ რას ნიშნავს დისკრიმინაცია. ვინაიდან სექსუალური შევიწროების, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმის შესახებ საზოგადოებას სათანადო ინფორმაცია არ აქვს. ამასთან, ამ მხრივ არც კანონმდებლობაა განჭვრეტადი. მესამე ვიდეორგოლი[64] სექსუალური შევიწროების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას დაეთმო, თუ რა სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება შეუძლია სექსუალური შევიწროების მსხვერპლს და რა შეიძლება წარმოადგენდეს საქმესთან დაკავშირებულ მტკიცებულებას.

61 ვიდეო რგოლი იხილეთ: https://www.youtube.com/watch?v=anYZbxXq8_I

62 დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2017, გვ.19.

63 ვიდეო რგოლი იხილეთ: https://www.youtube.com/watch?v=J8CnRtW5o6k

64 ვიდეო რგოლი იხილეთ: https://www.youtube.com/watch?v=idRItZBgvw8

დასკვნა

2014 წელს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ქვეყანაში ადმიანის უფლებების, კერძოდ კი თანასწორობის უფლების დაცვის მხრივ. სახალხო დამცველის, როგორც დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმის ჩარევის შედეგად, დისკრიმინაციის არაერთი სავარაუდო ფაქტი აღმოიფხვრა. ასევე, რეკომენდაციების მიღების შემდეგ მოპასუხეებმა შეწყვიტეს დისკრიმინაციული ქმედებები. ასევე, აქტუალური გახდა თანასწორობის საკითხებზე დისკუსია, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საზოგადოების ნაწილის მიერ თანასწორობის იდეის გააზრებაში. თავის მხრივ სახალხო დამცველი, სამართლებრივი სტანდარტის დადგენის, სხვადასხვა ჯგუფებისთვის ტრენინგების ჩატარებისა თუ მოსახლეობასთან შეხვედრების გზით, ცდილობს დისკრიმინაციასთან ბრძოლის საკითხებზე ინფორმაცია გაავრცელოს.

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სამწუხაროდ, საკანონმდებლო თუ პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გარდა, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა, ასევე, საზოგადოების ნაწილის მიერ თანასწორობის ცნების მცდარი, სტერეოტიპებზე დაფუძნებული აღქმა მნიშვნელოვნად აფერხებს საქართველოში თანასწორობის მიღწევის პროცესს, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება განსაკუთრებით დაუცველ ჯგუფებზე.

დანართი 1:

რეკომენდაციები და ზოგადი წინადადებები საჯარო უწყებების მიმართ



დაცული ნიშანი	რეკომენდაციის/ზოგადი წინადადების არსი	შესრულების მდგომარეობა
საქართველოს პარლამენტი		
ბავშვები	2018 წლის 5 მარტის რეკომენდაცია ბავშვების მიერ სასამართლოსთვის მიმართვის უფლების დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობას შეეხება, რადგან საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ნეიტრალური წესი, ზოგ შემთხვევაში, გამორიცხავს ბავშვებს.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 17 აპრილის წერილის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 14-18 წლამდე არასრულწლოვანს ანიჭებს უფლებას და პასუხისმგებლობას მიმართოს სასამართლოს საკუთარი ინტერესებს დაცვის მიზნით, ხოლო 14 წლამდე არასრულწლოვანის შემთხვევაში ასეთ დაშვებას კოდექსი არ ითვალისწინებს. თუმცა, აღნიშნული არ გულისხმობს სასამართლოსადმი მიმართვის უფლების აბსოლუტურ შეზღუდვას, ვინაიდან ეს უფლება დაცულია კანონიერი წარმომადგენლისა თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საშუალებით.

		საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის ამავე თარიღის წერილის თანახმად, რეკომენდაციით შეთავაზებული რეგულირება არასათანადოდ დიდ ტვირთს და პასუხისმგებლობას აკისრებს არასრულწლოვანს - თავად შეარჩიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. რეკომენდაცია არ შესრულებულა.
ძებნაში მყოფი პირები	2018 წლის 6 აგვისტოს რეკომენდაციით მოთხოვნილია ცვლილებების შეტანა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 28 დეკემბრის კანონში, რათა ძებნაში მყოფ პირებს ამნისტიის უფლებით ყველა სხვა სუბიექტთან თანასწორ საფუძველზე სარგებლობის შესაძლებლობა მიეცეთ	მოპასუხეს განხილვის შედეგები არ უცნობებია.
საქართველოს მთავრობა/საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია		
სქესი	2018 წლის 6 აგვისტოს ზოგადი წინადადებით მოთხოვნილია მთავრობის სახელით გამოცემულ საკანონმდებლო აქტებში გამოყენებული ტერმინის „ოჯახის უფროსის“ ნეიტრალური ფორმით მოდიფიცირება.	საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 აგვისტოს პასუხის თანახმად, მოპასუხე იზიარებს რეკომენდაციას და ტერმინების შესაცვლელად მუშაობა დაწყებულია. რეკომენდაცია შესრულების პროცესშია.
შეზღუდული შესაძლებლობა	2018 წლის 6 აგვისტოს რეკომენდაციით დადგინდა დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით, რადგან უსინათლო პირს არ მიეცა შესაძლებლობა მთავრობის ადმინისტრაციის კანცელარიაში ბრაილის შრიფტით შედგენილი განცხადება ჩაებარებინა.	მოპასუხის 2018 წლის 14 აგვისტოს წერილის თანახმად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში მიმდინარეობს საქმისწარმოების წესის პროექტის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები და საჭიროებები. ასევე, იგეგმება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და საქართველოს სამინისტროების შესაბამის თანამშრომლებს ჩაუტარდეთ

		ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობისა და მათთვის სერვისის შეუზღუდავად მიწოდების საკითხებზე. რეკომენდაცია შესრულების პროცესშია.
საქართველოს პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო		
სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულები	2018 წლის 15 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიების, თანამშრომელთა გადამზადების და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ერთიანი სტატისტიკის წარმოების თაობაზე საქართველოს მთავარ პროკურორს და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ზოგადი წინადადებით მიმართა.	საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 31 აგვისტოს წერილით სახალხო დამცველს ეცნობა 2016-2018 წლებში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების სტატისტიკა. ასევე, საქართველოს პროკურატურამ სახალხო დამცველს მოაწოდა ინფორმაცია 2015-2018 წლებში დისკრიმინაციული დანაშაულების გამოძიების მიმართულებით პროკურორებისთვის განხორციელებული ღონისძიებების საქმიანობის შესახებ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 6 ოქტომბრის წერილით სახალხო დამცველს ეცნობა თანასწორობის საკითებზე შსს-ს თანამშრომლების მიერ გავლილი საგანმანათლებლო კურსების შესახებ. სამინისტრო მუშაობს, რომ შესაძლებელი გახდეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ ზუსტი სტატისტიკის წარმოება. სპეციალიზებული საგამოძიებო დანაყოფის შექმნის საჭიროებას შინაგან საქმეთა სამინისტრო ვერ ხედავს. რეკომენდაცია შესრულების პროცესშია/ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		
სქესი	2018 წლის 2 ოქტომბერს სახალხო დამცველმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართა ზოგადი წინადადებით, გაუპატიურების შედეგად დამდგარი ორსულობის შემთხვევაში, განიხილოს სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მსხვერპლისთვის აბორტისთვის დაფინანსების გამოყოფის საკითხი მისი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. ასევე, გაუპატიურების შედეგად დაორსულებული ქალის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი გახდეს გაუპატიურების საქმეზე გამოძიების დაწყება.	სამინისტროს 2018 წლის 29 ოქტომბრის წერილის თანახმად, სექსუალური ძალადობის მსხვერპლის ქალებისთვის ორსულობის შეწყვეტა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
შეზღუდული შესაძლებლობა	2018 წლის 4 მაისის რეკომენდაცია შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციას, ვინაიდან უსინათლო პირები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, თავად ასახონ/გადაამოწმონ მონაცემები სოციალური შემწეობის დანიშვნისთვის საჭირო დეკლარაციაში.	სამინისტროს 2018 წლის 22 მაისის წერილის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სოციალურ/ჯანდაცვის პროგრამებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფა ალტერნატიული საშუალებებით ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესია, რომელიც, ამ ეტაპზე, განხორციელებული არ არის. რეკომენდაცია არ შესრულებულა

მოქა- ლაქეობა	2018 წლის 2 ოქტომ- ბრის რეკომენდაციის მიხედვით, მოქალაქე- ობის ნიშნით ასოცია- ციით დისკრიმინაცია დადგინდა, ვინაიდან იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის რომელიმე წევრი არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში ბინად- რობის მქონე პირი, ოჯახი ვერ იღებს სოციალურ შემწეობას.	მოპასუხის 2017 წლის 18 ოქტომბრის წერილის თანახმად, რეკომენდაცი- აში მოხსენიებული საკანონმდებლო აქტის მოდიფიცირება შეუძლებელს გახდის სოციალური დახმარების მიმღები ოჯახების ერთიანი აღ- რიცხვის ეფექტურ ადმინისტრი- რებას, ვინაიდან ოჯახის სოციალ- ურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისთვის აუცილებელია ყველა წევრის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და გაანალიზება, რის შედეგადაც უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება სოციალური გა- საცემელის დანიშვნის თაობაზე. მო- პასუხემ რეკომენდაცია არ გაიზიარა და რეკომენდაცია არ შესრულებუ- ლა.
მოქა- ლაქეობა	2017 წლის 5 ოქტომბრის რეკომენდაცია შეეხება მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაციას, რადგან საქართველოში მუდმივი ბინადრობის მქონე პირები C ჰეპატიტის ელიმინაცი- ის სახელმწიფო პროგრამ- ით ვერ სარგებლობენ.	სამინისტროს 2017 წლის 18 ოქტომ- ბრისა და 20 დეკემბრის წერილების თანახმად, C ჰეპატიტის პროგრამ- ით მოსარგებლეთა წრის გაფარ- თოვება მოხდება ეტაპობრივად. ამ ეტაპზე, საქართველოს მოქალაქე- ობის არმქონე პირისთვის, როგორც გამონაკლისისათვის, პროგრამით გათვალისწინებული სერვისები არ არის ხელმისაწვდომი. რეკომენდაცია არ შესრულებულა.
მოქა- ლაქეობა	2018 წლის 4 აპრილის რეკომენდაციით მოქა- ლაქეობის ნიშნით პირდა- პირი დისკრიმინაციის ფაქტი დადგინდა, რადგან საქართველოში მუდმივი ბინადრობის მქონე პირები ვერ სარგებლობენ „დე- დათა და ბავშვთა სახელ- მწიფო ანტენატალური მეთვალყურეობის პრო- გრამებით“, მშობიარობა, საკეისრო კვეთის მომსახ- ურებით.	მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრო ეთანხმება სახალხო დამცველის რეკომენდაციას, ამ დრომდე არ შეს- რულებულა.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო		
ჯანმრთელობის მდგომარეობა	2017 წლის 7 დეკემბერის რეკომენდაციით დადგინდა ჯანმრთელობის ნიშნით ირიბი დისკრიმინაციის ფაქტი, ვინაიდან ჰიპერაქტიური მოსწავლისთვის არ გამოიყო სპეციალური მასწავლებელი, რომელთან მუშაობაც ბავშვისთვის განათლების უფლების რეალიზაციისთვის აუცილებელი იყო.	სამინისტროს 2018 წლის 4 ოქტომბერის და სკოლის 1 ნოემბრის წერილების თანახმად, სკოლა გამოთქვამს მზადყოფნას აიყვანოს სპეციალური მასწავლებელი და უზრუნველყოს ბავშვის განათლების უფლება. რეკომენდაცია შესრულების პროცესშია.
რელიგია	2017 წლის 18 სექტემბრის ზოგადი წინადადება შეეხება რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის წახალისებას, ვინაიდან ზოგიერთ საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ინდოქტრინაციის და იძულების ფაქტები გამოვლინდა.	სამინისტროს 2017 წლის 17 ოქტომბრის საპასუხო წერილის თანახმად, შიდა აუდიტის დეპარტამენტს შესწავლილი აქვს სადავო ფაქტობრივი გარემოებები და დარღვევები არ გამოკვეთილა. რეკომენდაცია არ შესრულებულა
განსხვავებული და პოლიტიკური შეხედულება	2017 წლის 4 დეკემბრის რეკომენდაცია შეეხება განსხვავებული შეხედულების ნიშნით შევიწროების და პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას. კერძოდ, თბილისის 67-ე საჯარო სკოლაში დირექტორის მხრიდან მასწავლებლების მიმართ განხორციელებულ ფაქტებთან დაკავშირებით.	როგორც სახალხო დამცველისთვის გახდა ცნობილი, სკოლის დირექტორი დაკავებული პოზიციიდან გათავისუფლდა. რეკომენდაცია შესრულდა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი		
განსხვავებული და პოლიტიკური შეხედულება	2017 წლის 7 დეკემბრის რეკომენდაციით განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტი დადგინდა, ვინაიდან განმცხადებელს არ გაუგრძელეს შრომის ხელშეკრულება იმის გამო, რომ შეუერთდა უნივერსიტეტში მიმდინარე საპროტესტო აქციას.	მოპასუხის 2018 წლის 3 იანვრის წერილის თანახმად, განმცხადებელთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის მიზეზი იყო ის, რომ მას არ ჰქონდა საშემსრულებლო დისციპლინა და მოპასუხე არ იზიარებს სახალხო დამცველის პოზიციას. რეკომენდაცია არ შესრულდა.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი		
ლგბტ+ თემი	2017 წლის 7 დეკემბრის ზოგადი წინადადებით პროფესორის მიერ გამოთქმული ჰომოფობიური მოსაზრებები დისკრიმინაციის წამახალისებლად იქნა მიჩნეული.	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობით, მიმდინარეობს მუშაობა უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ დისკირმინაციული გამონათქვამების აკრძალვის მიზნით. მოპასუხემ რეკომენდაცია გაიზიარა.
საქართველოს ეროვნული ბანკი		
მოქალაქეობა	2018 წლის 4 აპრილის ზოგადი წინადადებით საქართველოს სახალხო დამცველმა რიგი სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის საბანკო მომსახურების მიღებისას - საბანკო ანგარიშის გახსნის, საბანკო ამონაწერის მიღების, სტუდენტური ბარათის აღების პროცესში წარმოქმნილი პრობლემები დისკრიმინაციის წამახალისებლად მიიჩნია.	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოწოდებული 2018 წლის 27 აპრილის წერილის თანახმად, საბანკო მომსახურების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან, და რომ რიგი შეზღუდვები შეიძლება არსებობდეს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების იდენტიფიცირებისა და შემცირების პრევენციისათვის. აზოგადი წინადადება დღემდე არ შესრულებულა.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა		
შეზღუდული შესაძლებლობა	2018 წლის 4 აპრილს საქართველო რეკომენდაციით დადგინდა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაცია, ვინაიდან სანოტარო მომსახურების გეოგრაფიული მისაწვდომობა არ იძლეოდა ეტლით მოსარგებლეებისთვის სანოტარო მომსახურების თავისუფლად მიღების შესაძლებლობას.	საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ გასაჯაროვდა ინფორმაცია იმ სანოტარო ბიუროების შესახებ, რომელიც ეტლით მოსარგებლეთათვის მისაწვდომია; ამასთან, სახალხო დამცველის რეკომენდაციის გათვალისიწინებით, უზრუნველყოფილი იქნება ეტლით მოსარგებლეთა სანოტარო ბიუროების მისაწვდომობა. მოპასუხემ რეკომენდაცია გაიზიარა.
ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა		
შეზღუდული შესაძლებლობა	2017 წლის 25 სექტემბრის რეკომენდაციით, შეზღუდვის ფორმის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტი დადგინდა, ვინაიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთაგან კომუნალური გადასახადები მხოლოდ უსინათლო პირებს აუნაზღაურდება.	მოპასუხის წერილის თანახმად, „ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N18 დადგენილების თანახმად, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირისთვის გათვალისწინებულია კომუნალური გადასახადების გადახდა. მოპასუხემ რეკომენდაცია შეასრულა.
თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო		
შეზღუდული შესაძლებლობა	2018 წლის 6 აგვისტოს რეკომენდაციით შესაძლებლობის შეზღუდვის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტი დადგინდა, ვინაიდან თბილისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომობილის სპეციალური სადგომი	თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აგვისტოს წერილის თანახმად, დადგენილებით გათვალისწინებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საცნობი ნიშნის გაცემის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომელთა შესაძლებლობის

	ადგილები მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის არის განსაზღვრული.	შეზღუდვის ხარისხი და სიმძიმე განაპირობებს ტრანსპორტირებისას დახმარების განსაკუთრებულ აუცილებლობას, მიეცეთ საშუალება, ისარგებლონ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი შეღავათით. უწყებამ არ გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია.
თიანეთის მუნიციპალიტეტის მერი		
განსხვავებული და პოლიტიკური შეხედულება	2018 წლის 5 მარტის რეკომენდაციით დადგინდა განსხვავებული და პოლიტიკური შეხედულების ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტი, რადგან თიანეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მომუშავე თანამშრომლები ზამთრის პერიოდში არ მომარაგებულან საშეშე მასალით, რადგან მოქმედი მერი მათ განსხვავებული პოლიტიკური ძალის მხარდამჭერებად აღიქვამს.	მოპასუხის 2018 წლის 24 აპრილის წერილის თანახმად, რეკომენდაციაში მოხსენიებულ პირებს თავად უნდა მოეთხოვათ საშეშე მასალა, და რომ მერი არ იყო ინფორმირებული პრობლემის შესახებ რეკომენდაცია არ შესრულებულა.
ააიპ „ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი“		
განსხვავებული მოსაზრება	2018 წლის 10 ივლისს სახალხო დამცველმა შევიწროებით გამოხატული განსხვავებული მოსაზრების ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე მიმართა ააიპ „ხელვაჩაურის კულტურის ცენტრს“.	მოპასუხის 2018 წლის 24 ივლისის წერილის თანახმად, განმცხადებელი არ არის შევიწროვების მსხვერპლი და ყველა დასაქმებულისათვის შექმნილია თანასწორი სამუშაო გარემო. მოპასუხემ მხოლოდ ერთი რეკომენდაცია გაიზიარა, რომელიც შეეხებოდა დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედებისა და გაქარწყლების ვადების დარეგულირებას.

დანართი 2:

რეკომენდაციები და ზოგადი წინადადებები კერძო პირების მიმართ

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მხრიდან სახალხო დამცველის გადაწყვეტილებების შესრულება



დაცული ნიშანი	ადრესატი	რეკომენდაციის/ზოგადი წინადადების არსი	შესრულების მდგომარეობა
ორსულობა	შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია“	2017 წლის 2 ოქტომბრის რეკომენდაციის თანახმად, შრომითი ურთიერთობის გაგრძელებაზე უარი განმცხადებლის ორსულობით იყო განპირობებული და სახალხო დამცველმა მოპასუხეს მოუწოდა, აღმოფხვრას დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგი, მომავალში თავი შეიკავოს შრომით ურთიერთობებში ორსულობის ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობისგან და საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპის დაცვით.	მოპასუხეს განხილვის შედეგები არ უცნობებია

სქესი	შპს „ფრესკო“	2018 წლის 4 დეკემბრის რეკომენდაციით დადგინდა სექსუალური შევიწროებით გამოხატული სქესის ნიშნით დისკრიმინაცია, ვინაიდან ქალების გასახდელი ოთახის მონიტორინგი ხდებოდა ვიდეო კამერის მეშვეობით, რომელზეც ხელმისაწვდომობა მათ შორის, კომპანიის მამაკაც თანამშრომლებსაც ჰქონდათ.	მოპასუხეს განხილვის შედეგები არ უცნობებია
სქესი	სს „წყალი მარგებელი“	2017 წლის 9 ნოემბერს ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა სს „წყალი მარგებელის“ ენერგეტიკული სასმელის „ბუღას“ სექსისტური შინაარსის შეფუთვასა და სარეკლამო კამპანიასთან დაკავშირებით ზოგადი წინადადებით მიმართა.	მოპასუხის 2017 წლის 21 ნოემბრის წერილით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ კომპანია გეგმავდა 2018 წლის მარტში სარეკლამო კამპანიის შეცვლას და გენდერული თანასწორობის თემის წინ წამოწევას. კამპანიის დასრულების შემდეგ ბრენდი სხვა მიმართულებით და სხვანაირი შეფუთვით აგრძელებს განვითარებას.
სქესი	შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი“	2018 წლის 6 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მიმართა შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელს,“ ვინაიდან სტიპენდია მხოლოდ ბიჭებისთვის იყო გამოყოფილი.	მოპასუხის 2018 წლის 19 თებერვლის წერილის თანახმად, აღნიშნული პრაქტიკა კლასებში გენდერული ბალანსის მიღწევას ემსახურება მიზნად.

ჯანმრთ-ელობის მდგო-მარეობა	შპს „ჯორჯიან ეარვეის“	2018 წლის 6 აგვისტოს სახალხო დამცველმა ჯან-მრთელობის მდგომარეობის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ მიმართა შპს „ჯორჯიან ეარვეისს“, რადგან შეზღუდული გადაადგილების შესა-ძლებლობის მქონე მგზავრმა ვერ ისარგებლა ეტლით.	მოპასუხეს განხ-ილვის შედეგები არ უცნობებია
ბავშვები	შპს „Wonder-land Preschool”	2018 წლის 16 აპრილს სახ-ალხო დამცველმა ბაღის აღ-საზრდელის მიმართ ქცევის ნიშნით აღქმით დისკრიმი-ნაციის დადგენის თაობაზე საბავშვო ბაღ „Wonderland Preschool”-ს მიმართა.	მოპასუხეს განხ-ილვის შედეგები არ უცნობებია
ბავშვები	შპს „პირველი“	2017 წლის 6 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ზოგადი წინა-დადებით მიმართა მედია საშუალება შპს „პირველს“, ვინაიდან მიიჩნია, რომ სიუჟეტში, ჟურნალისტის მიერ, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბოშა ბავშვე-ბის მიმართ გამოყენებული ტერმინი „ციგანი“ დისკრიმი-ნაციის წამახალისებელია.	მოპასუხეს განხ-ილვის შედეგები არ უცნობებია

ლგბტ+ თემი	ფიზიკური პირი	2018 წლის 9 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა სექსუალური ორიენტაციის და საქმიანობის სფეროს ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია დაადგინა კერძო პირის მიმართ, ვინაიდან მან ლგბტ+ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობა 17–ს“ საოფისე ფართი მისი საქმიანობის გამო არ მიაქირავა. სახალხო დამცველმა მოპასუხეს მიმართა, მომავალში თავი შეიკავოს სახელშეკრულებო ურთიერთობებში სექსუალური ორიენტაციის და საქმიანობის სფეროს, ასევე სხვა ნიშნის საფუძველზე დისკრიმინაციული მოპყრობისაგან და სამეწარმეო საქმიანობა თანასწორობის პრინციპის დაცვით წარმართოს.	მოპასუხეს განხილვის შედეგები არ უცნობებია
განსხვავებული მოსაზრება	შპს „ბიბლუსი“	2017 წლის 4 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა შპს „ბიბლუსს“ განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ მიმართა, ვინაიდან ერთ-ერთ ფილიალში კომპანიის ყოფილი თანამშრომელი არ შეუშვეს.	„ბიბლუსის“ 2017 წლის 7 დეკემბრის წერილის თანახმად, მოპასუხემ სახალხო დამცველის პოზიცია არ გაიზიარა.